ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 22 დეკემბერი, 2011

№303 (5683)

ფასი: 30 თეთრი

## ჟურნალისტები ავტოავარიაში მოყვნენ

გუშინ სააგენტოების – „ინტერპრესნიუსისა“ და „ექსპრესნიუსის“ ჟურნალისტები კოჯრის გზაზე ავტოავარიაში მოყვნენ.

როგორც „მედიანიუსს“ „ექსპრესნიუსის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი მანაგაძემ განუცხადა, ჟურნალისტები კოჯორში ირაკლი ალასანიას ღონისძიების გასაშუქებლად მიდიოდნენ და მანქანა მოუცურდათ.

„ჩემი ჟურნალისტი ეკა ჭილაძე მანქანიდან გადმოვარდა. მას ხელი აქვს მოტეხილი და სხეულის სხვადასხვა დაზიანება აღენიშნება“, – აღნიშნა მანაგაძემ.

მისი თქმით, მანქანაში „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტი და ფოტოგრაფიც იმყოფებოდნენ, თუმცა ისინი არ დაშავებულან.

ამჟამად „ექსპრესნიუსის“ ჟურნალისტი ეკა ჭილაძე თბილისის მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაშია მოთავსებული.

მედიანიუსი

# შაშკინი სკოლებს ციხეებად გადააკეთებს?!

მოსწავლეებს სკოლა-პანსიონებში გამოკეტავენ, მშობლებს 1000-1000 ლარით დააჯარიმებენ



გვ.2



## დავით გამყრელიძე: „ივანიშვილი პოლიტიკურ პარტნიორებს აფინანსებს“

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესი მკაცრდება

გვ.4





## ირაკლი მელაშვილი: „უნდა დავითვალოთ, რამდენი ამომრჩეველი მივა არჩევნებზე“

გვ. 5

## ბაჩუკი ქარდავა: „პოლიტიკოსები ოთხი წლის შემდეგ უკვე მოითხოვენ ივანიშვილის დამხობას“



გვ. 6



გვ. 3

## ნოდარ ჯავახიშვილი: „ქართუ ბანკში“ 870 ანაბარი იყო გახსნილი, დღეისათვის 23 ათასი ანაბარი გვაქვს“



## ჯიოევა საბოლოოდ გადააგდეს

გვ. 4

ოსური ოპოზიცია პუტინის იმედად დარჩა

## პრესის გამავრცელებელ კომპანიებს უკვე სერიოზული პრობლემები შეექმნათ

გვ.7



გვ. 3

## ვლადიმერ ხომერიკი: „საქართველო დაშლის საფრთხის წინაშე დგას“

ISSN 1987-9385

4 ლეიბორისტული პარტია საარჩევნო კოალიციებში გაწევრიანებას არავისთან გეგმავს

10 ჟურნალისტებისთვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად კვლავ პაკისტანი რჩება

4 თევდორე მღვდლის ქუჩაზე ხანძრის შედეგად 20 ოჯახი საცხოვრებელი ფართის გარეშე დარჩა

11 აშშ-მ ირანს შეიძლება დაარტყას

# შაშკინი სკოლებს ციხეებად გადააკეთებს?!

## მოსწავლეებს სკოლა-პანსიონებში გამოკეტავენ, მშობლებს 1000-1000 ლარით დააჯარიმებენ

შალვა ჯოხაძე

**პარლამენტში ისეთ კანონს იღებენ, რომელიც სკოლას ნამდვილ სადამსჯელო დაწესებულებად აქცევს. ცელქი მოსწავლეები ე.წ. გადამისამართებას დაექვემდებარებიან, რაც მათ სპეცსკოლაში თვეობით გამოკეტვას ნიშნავს. ბავშვების გარდა, სანქციები არ ასცდებათ მშობლებსაც. ისინი, შესაძლოა, ათასობით ლარით დააჯარიმონ.**

**კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში განიხილება, საპარლამენტო ოპოზიციას არ მოსწონს. ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტში ამ პროექტზე სამსჯელოდ არასამთავრობო ორგანიზაციები და ადამიანის უფლებათა დამცველები მიიწვია. სხდომას ესწრებოდა უფლებათა დამცველი გიორგი თევზაძეც, რომელმაც ამ კანონპროექტთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნებიც მოამზადა.**

დაგეგმილი სიახლეები 10-18 წლის ასაკის მოსწავლეებს ეხებათ. იქმნება მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც გადაწყვეტს, თუ რომელი ბავშვები უნდა გაიგზავნონ, ანუ გადამისამართდნენ ე.წ. სკოლა-პანსიონში.

პროექტის თანახმად, ეს ემუქრებათ ე.წ. დევიანტური ქცევის ბავშვებს. დოკუმენტის თანახმად, ასეთი საქციელი გამოიხატება რთულ ან ანტისაზოგადოებრივ ქცევაში, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის განვითარებას, მის ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან მართლწესრიგს და ვლინდება არანაკლებ 6 თვის მანძილზე.

როგორც აღვნიშნეთ, არასრულწლოვანის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური ჯგუფი მიიღებს. მულტიდისციპლინური ჯგუფი 9 წევრისგან დაკომპლექტდება, რომელთა შემადგენლობაში შევლენ სოციალური მუშაკები, იურისტები, პედაგოგები და ბავშვთა ფსიქოლოგები. მულტიდისციპლინური ჯგუფის თავმჯდომარეს და წევრებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დანიშნავს.

პროექტში აღნიშნულია: „სკოლა, მანდატური, არასრულწლოვნის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, უბნის ინსპექტორი და/ან სოციალური მუშაკი უფლებამოსილია მიმართოს მულტიდისციპლინური ჯგუფის თავმჯდომარეს არასრულწლოვანის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოყენების შესახებ. მიმართვაში აღწერილი უნდა იყოს არასრულწლოვანის ქცევა და დაერთოს შესაბამისი ქცევის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“.

აღსანიშნავია, რომ, თუკი მშობელი მისი შვილის პანსიონში გაგზავნაზე თანხმობას არ განაცხადებს, დაჯარიმდება. ჯარიმა პირველ ეტაპზე 500 ლარი იქნება, განმეორებების შემთხვევაში კი ყოველ ჯერზე – 1000 ლარი.

მშობელს შეუძლია, რომ არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გადამისამართების ან იქ ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე ორგანოში გაასაჩივროს. თუმცა, გასაჩივრება მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას არ ითვალისწინებს, ანუ ბავშვი მაინც გაიგზავნება სპეციალურ სკოლაში. ადამიანის უფლებათა დამცველ გიორგი თევზაძეს ეს ყველაფერი არასწორად მიაჩნია. მისი განცხადებით, შესაძლოა, სრულიად უდანაშაულო ბავშვი, სანამ სიმართლე გაირკვევა, რამდენიმე თვის განმავლობაში სულ ტყუილად ამყოფონ პანსიონში.

გიორგი თევზაძის შეფასებით, ზოგადად, კანონის პროექტის შინაარსი საზოგადოერბისათვის ყოვლად მიუღებელია, ამასთან, ლახავს საერთაშორისო კანონმდებლობას თუ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციას, რომელიც ოჯახის ერთიანობისკენაა მოწოდებული. აქ კი საუბარია ბავშვის ოჯახიდან მოცილებაზე. თევზაძის აზრით, კანონპროექტის მიხედვით, ბავშვების კრიმინალიზაცია ხდება, ის ითრგუნება და მომავალში შეიძლება მართლაც გადადგას არაკანონიერი ნაბიჯი, ხოლო მთელი მისი ოჯახი განწირულია. უფლებათა დამცველს იმედი აქვს, რომ საპარლამენტო უმრავლესობაშიც არიან ადამიანები, რომლებიც ამ კანონის პროექტში ჩადებულ საფრთხეებს აცნობიერებენ და ასეთი ფორმით მის მიღებას არ დაუშვებენ.


გიორგი თევზაძე

გიორგი თევზაძემ პარლამენტში ასეთი შინაარსის შენიშვნები შეგზავნა:

– კანონპროექტის იმ სახით მიღება, როგორც ამ მომენტისთვის არის წარმოდგენილი კატეგორიულად მიუღებელია, რადგან იგი სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ პრობლემის იურიდიულ, ფსიქო-აღმზრდელობით და სოციალურ ასპექტებზე.

ცვლილების მიხედვით, შკოლას, მანდატურს, არასრუწლოვანის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, პროკურორს, უბნის ინსპექტორს და/ან სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ მულტიდისციპლინურ ჯგუფს არასრუწლოვანის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოსაყენებლად. აღნიშნული ნორმა სხვა ცვლილებებთან ერთად ქმნის არასრუწლოვანის დასჯის იურიდიულ წინაპირობებს, მიუხედავად იმისა, რას დაარქმევს კანონი ამ ქმედებას. მინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საუბარია საკმაოდ სენსიტიურ საკითხზე, არასრუწლოვანის სოციალურ განვითარებაზე, რომლზეც ყველა ცივილიზებულ ქვეყნებში კომპლექსურად უდგებიან და არასრუწლოვანის მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობენ ყველა შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტები. ზემომითითებული ცვლილება სკოლას, მანდატურს, არასრუწლოვანის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს, პროკურორს, უბნის ინსპექტორს და/ან სოციალურ მუშაკს უფლებას აძლევს ინდივიდუალურად, პირადი სუბიექტური შეხედულების მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება და მიმართოს მულტიდისციპლინურ ჯგუფს. ამ ნორმაში ნამდვილად არ ჩანს საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის სურვილი.

შესაძლებელია რთული და ძნელად აღსაზრდელი არასრუწლოვნების საკითხის განხილვა აუცილებელი გახდეს, მაგრამ ეს საკითხი მულტიდისციპლინური ჯგუფისადმი მიმართვამდე უნდა განხილულ იქნეს სკოლის დონეზე, ყველა შესაბამისი დარგის სპეციალისტების აუცილებელი მონაწილეობით და ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, კონფიდენციალობის სრული დაცვით და თანაც ისე, რომ ზიანი არ მიადგეს განვითარების პროცესში მყოფ არასრუწლოვნის ფსიქიკას. ნებისმიერი სხვა ფორმით გადაწყვეტილების მიღება, მით უმეტეს ინდივიდუალურ ფორმატში, ნიშნავს არასრუწლოვნის წაქეზებას და ხელშეწყობას ანტისოციალური ქმედებებისაკენ და პოტენციური დამნაშავედ ჩამოყალიბების ხელშეწყობას. საზოგადოება აუცილებლად მიიღებს უარყოფით შედეგებს ამ ცვლილებების წარმოდგენილი სახით ამოქმედებისას.

საპროცესო კანონმდებლობა (როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის) ადგენს არასრუწლოვანი მოწმის დაკითხვას განსაკუთრებულ წესს დაპ ირის დაკითხვას მხოლოდ პედაგოგის ან მშობლის უშუალო მონაწილეობით, ბუნებრივია, ამ ნორმას კონკრეტული დასაბუთება აქვს, რადგან არასრუწლოვანის ჩვენება ეფუძნება ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსიქო-სოციალურ დამოკიდებულებას ცალკეული მოვლენებისადმი. ეს ნორმა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოქმედებს და ამ ნორმის ამოქმედებას კონკრეტული დასაბუთებები აქვს. ეს აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ზემომითითებული ნორმატიული ცვლილების მიღებისას.

ცვლილებებს აქვს ნეგატიური მხარე პედაგოგიური აღზრდის თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ამ საკითხის განხილვისას აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ცნობილი პედაგოგების, მათ შორის მაკარენკოს მოსაზრებები, რომელთა სწავლებებით, არასრუწლოვანთა მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუნდაც მისი განვითარების მიზნებით იყოს ნაკარნახევი, არ შეიძლება განხორციელდეს ისეთივე ფორმებით, როგორც ეს კეთდება სრულწლოვანი პირების მიმართ. კანონის ცვლილების წარმოდგენილი ვერსია, 10 წლის მცირეწლოვანს (ბავშვს), ან თუნდაც 12 და 14 წლის არასრულწლოვანს უყურებს, როგორც დამნაშავეს და საკითხს უდგება ამ ჭრილში, რაც ბუნებრივია, უარყოფითად აისახება მომავალში ბავშვის სწორ ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე.

გარდა აღნიშნული გარემოებებისა, არ შეიძლება საკითხი განხილული და გადაწყვეტილ იქნეს შესაბამისი სამედიცინო სპეციალისტების სავალდებულო მონაწილეობის გარეშე. ბუნებრივია, ცვლილების პროექტში მითითებული პირებიდან არც ერთი არის სამედიცინო დარგის ის სპეციალისტი, რომელიც სპეციალიზებულია არასრულწლოვანი პირების ფსიქოლოგიურ და ფსიქიკურ შემოწმებაზე. ამდენად, ზემომითითებული პირების ნებისმიერი გადაწყვეტილება ყველა შემთხვეაში არაკვალიფიცირებული და შესაბამისად მხოლოდ სუბიქტური იქნება, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია.

მნიშვნელოვანია პრობლემის სოციალური მხარეც. არასრულწლოვანის მიმართ მსგავსი ტიპის გადწყვეტილებები და ინიციატივები ქმნის რეალურ ნიადაგს არასრულწლოვანის დამნაშავედ ჩამოყალიბებაზე. ამდენად, ეს ცვლილება, თავისი შინაარსით, ანტისოციალური ხასიათისაა და დამნაშავეთა სამყაროს გაძლიერებას მოემსახურება. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა სირთულის და ხასიათის პირების ერთ დაწესებულებაში მოთავსება, იმ პირების დამნაშავედ ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, რომლებიც სხვა, ნორმალურ სოციალურ გარემოში სოციუმის ნორმალურ წევრებად ჩამოყალიბდებოდნენ.

დამატებით გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ გარემოებაზე. შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილების ავტორებმა გარკვეული დასაბუთება მოუძებნოს ამ ცვლილებას და აღნიშნოს, რომ არასრუწლოვანის ქმედებაზე იმსჯელებენ მულტიდისციპლინურ ჯგუფში და მის ქვეჯგუფებში გაერთიანებული სპეციალისტები. ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ რამდენიმე არგუმენტი მოქმედებს. პირველ რიგში, ეს საკითხი სავარაუდოდ დარეგულირდება კანონქვემდებარე აქტების დონეზე, რაც კონკრეტული სფეროს სენსიტიურობის გათვალისწინებით მიუღებელია.

ასევე მნიშვნელოვანი ის გარემოება, რომ ყველა შემთხვევაში ამას არ უნდა ჰქონდეს მიდგომებისა და გადაწყვეტილებების მიღების ის ფორმა, როგორც ეს ცვლილებებშია წარმოდგენილი. ვფიქრობთ, აუცილებლობის შემთხვევაში, საკითხის რეგულაციისას უნდა შემუშავდეს საკითხის დაყენებისა და განხილვის ფორმები, რომელიც შესაბამისობაში იქნება მცირეწლოვნის/არასრულწლოვანის ასაკთან, მის ფსიქო-სოციალურ თავისებურებებთან და რომელსაც შემოგვთავაზებენ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო და პედაგოგიური დარგის სპეციალისტები.

## „სახალხო კრება“ სახალხო დამცველს მადლობას უხდის

„სახალხო კრება“ სახალხო დამცველს 2011 წელს 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოსათვის მადლობას უხდის.

როგორც „სახალხო კრების“ განცხადებაშია აღნიშნული, სახალხო დამცველის ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ადვოკატებმა ვერ შეძლეს დაკავებულების მონახულება, ვერ გამოიყენეს ადმინისტრაციული პატიმრობის გასაჩივრების კანონით დადგენილი საშუალება 48 საათიანი ვადის გასვლის გამო, ხოლო მათი ოჯახის წევრები მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ შესაძლებლობას, სცოდნოდათ სად იმყოფებოდნენ მათი ახლობლები.

„სახალხო კრების“ განცხადებით, სახალხო დამცველის ანგარიში კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ 26 მაისს ხელისუფლების მიერ, მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ მოწყობილი იყო საჩვენებელი სადამსჯელო სპეცოპერაცია და მას არავითარი საერთო არ ჰქონდა მიტინგის დაშლასთან.

„სახალხო კრება“ მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, არასამთავრომო და საერთაშორისო ორგანიზაციებს და კიდევ ერთხელ მოითხოვს მაისის მოვლენების ობიექტურ გამოძიებას.

– იმედს ვიტოვებთ, რომ ვაშინგტონი 26 მაისის მოვლენების ობიექტური გამოძიების საკითხსაც ასევე პრინციპულად დაუჭერს მხარს, მით უფრო, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ჯონ ბასის მიერ 25 მაისს გაკეთებულ განცხადებას აღიქვამს ხელისუფლებისათვის ანთებულ მწვანე შუქად. ჩვენი პარტნიორი ქვეყნის, მკვეთრი პოზიცია 26 მაისის და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების ობიექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით, დასტური იქნება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესს მსოფლიოში რეალური დემოკრატიული პროცესები წარმოადგენს, – ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

## 2012 წლის იანვრიდან სამომხმარებლო კალათა განახლდება

საქსტატის ინფორმაციით, 2012 წლის იანვრიდან სამომხმარებლო კალათა განახლდება. განახლებული სამომხმარებლო კალათა დაეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში წარმოდგენს ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციას, რომელსაც სთავაზობს ევროსტატი ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს.

უკანასკნელად სამომხმარებლო კალათა განახლდა 2010 წელს.

ფასების რეგისტრაცია განხორციელდება საქართველოს 5 დიდ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი) და ასახავს რეგიონის საერთო ფასების დინამიკას. თითოეული რეგიონის შიდა მოხმარების გაანგარიშება მოხდება შინამეურნეობების ინტერგრირებული გამოკვლევიდან მიღებული რეგიონალური მოხმარების სტრუქტურის შესაბამისად. სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონელი და მომსახურება იდენტური იქნება ხუთივე ქალაქისთვის.

განახლებული სამომხმარებლო კალათა ასახავს მოსახლეობის დანახარჯების უახლეს სტრუქტურას, რაც უფრო საიმედოს ხდის სამომხმარებლო ფასების ინდექსს – ინფლაციის მაჩვენებელს.

2012 წლიდან პერიოდის საშუალო ინდექსის ნაცვლად გამოქვეყნდება 12 თვის საშუალო და ასევე გრძელვადიანი სამომხმარებლო ფასების ინდექსები.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნოდარ ჯავახიშვილი: „ქართუ ბანკში“ 870 ანაბარი იყო გახსნილი, დღეისათვის 23 ათასი ანაბარი გვაქვს“

## რა უთხრეს დიპლომატებს ივანიშვილის წარმომადგენლებმა



შალვა ჯოხაძე

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ იურიდიული ჯგუფის წარმომადგენლები და ბიძინა ივანიშვილის გუნდის სხვა წევრები საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს შეხვდნენ. მათი საუბრის მთავარი თემები ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის, ასევე „ქართუ ბანკისა“ და „ქართუ ჯგუფის“ ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა და საბაჟოზე „ქართუ ჯგუფის“ კუთვნილი ელექტრონული ნივთების დაზიანების საკითხები იყო.**

შეხვედრისას „ქართუ ბანკის“ ხელმძღვანელმა ნოდარ ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა, ბანკის კლიენტურაზე ზეწოლა გაძლიერდა.

– მათ აიძულებდნენ, ბანკში საშემოსავლო ანგარიშები დაეხურათ ან ანაბრები გაეტანათ და მხოლოდ სესხები დაეტოვებინათ. „ქართუ ბანკიდან“ 7-დან 27 ოქტომბრამდე პერიოდში 45 მილიონი ლარის გადინება მოხდა. ეს რომ ნამდვილად ზეწოლის შედეგია, ამის თქმის საფუძველს ჩვენი კლიენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გვაძლევს, თუმცა ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის შემდეგ, საზოგადოება აქტიურად დაუდგა „ქართუ ბანკს“ გვერდით და ანაბრები ყოველდღიურად იხსნება. თუ ამ მოვლენებამდე 870 ანაბარი იყო გახსნილი, დღეისათვის 23 ათასი ანაბარი გვაქვს, – განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საელჩოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ივანიშვილის იურიდიული ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს. „ქართული ოცნების“ იურიდიული ჯგუფის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს საქალაქო სასამართლოში ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძის მოქალაქეობასთან დაკავშირებით მიმდინარე დავის არსი განუმარტა.

როგორც ქუცნაშვილმა აღნიშნა, ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე 2004 წლის ივლისიდან საქართველოს მოქალაქეები საგამონაკლისო წესით არიან, თუმცა მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა და განცხადებაში აღნიშნა, რომ პარალელურად საფრანგეთის მოქალაქეც იყო, ხელისუფლებამ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა გადაწყვიტა.

– საქართველოს პრეზიდენტმა მიიჩნია, რომ რადგან ბიძინა ივანიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მიიღო, ბიზნესმენმა და მისმა მეუღლემ კანონი დაარღვიეს, თუმცა ეს განმარტება უკანონოა, რადგან ამგვარი აკრძალვები ვრცელდება მხოლოდ ერთმაგი მოქალაქისთვის, ხელისუფლებას კი სურს, რაც აკრძალულია ერთმაგი მოქალაქისთვის, აეკრძალოს მულტიმოქალაქეს. დავის საგანი კი სწორედ ის არის, რომ არ შეიძლება ერთმაგი მოქალაქისთვის დაწესებული აკრძალვა მულტიმოქალაქეზე გავრცელდეს, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

ქუცნაშვილის თქმით თქმით, პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება მოტივირებული იყო პოლიტიკური მოსაზრებებით, რადგან საკმარისზე მეტი დამადასტურებელი მასალა აქვთ იმის დასამტკიცებლად, რომ არ შეიძლება ერთმაგი მოქალაქისთვის დაწესებული აკრძალვა მულტიმოქალაქეზე გავრცელდეს.

**ზაქარია ქუცნაშვილი:**

– როდესაც ჩვენ პრეზიდენტის წარმომადგენელს მივმართეთ და ვკითხეთ, რატომ შეეხო მოქალაქეობის შეწყვეტა ეკატერინე ხვედელიძეს, რომელსაც უკვე 2004 წელს ჰქონდა ორმაგი მოქალაქეობა, ან რატომ არ შეეხოთ მოქალაქეობის შეწყვეტა ბიძინა ივანიშვილის შვილებს, პრეზიდენტის წარმომადგენელმა გვიპასუხა, რომ ბავშვები არ აინტერესებთ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიხეილ სააკაშვილი იყენებს საკუთარ თანამდებობას, რათა თავის პოლიტიკურ პარტიას ძლიერი კონკურენტი ჩამოაშოროს.

საელჩოების წარმომადგენლებს ბიძინა ივანიშვილის იურიდიულმა ჯგუფმა საქალაქო სასამართლოში შეტანილი ადმინისტრაციული სარჩელის ინგლისური ვერსიებიც გადასცა.

შეხვედრაზე „ქართუ ჯგუფის“ წარმომადგენლებმა დიპლომატებთან ტვირთებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრა.

როსტომ მეფის სასახლის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე ყურადღება „ქართული ოცნების“ იურიდიული ჯგუფის წევრმა არჩილ კბილაშვილმა გაამახვილა.

კბილაშვილის თქმით, სასახლესთან დაკავშირებით ადგილი აქვს მერიის დესტრუქციულ ქმედებას, რადგან არ აკეთებს არაფერს, რათა აღიკვეთოს ამ შენობით უკანონოდ სარგებლობა.

**არჩილ კბილაშვილი:**

– პოლიცია კი არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი კუთვნილი შენობით სარგებლობის უფლება მოგვეცეს. ეს გვიღრმავებს ეჭვს, რომ ამგვარი ქმედება ბიძინა ივანიშვილისთვის ხელოვნურად პრობლემების შექმნისკენ არის მიმართული.

---

ქეთი ხომერიკი

# ვლადიმერ ხომერიკი: „საქართველო დაშლის საფრთხის წინაშე დგას“

## „ევროპარლამენტს რუსეთის საქმეებში ჩარევის უფლება არა აქვს“

**როგორ აფასებს არჩევნების შემდეგ რუსეთში შექმნილ მდგომარეობას და გახდება თუ არა 24 დეკემბერს დაანონსებული აქცია ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ სათავე? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტს, პროფესორ ვლადიმერ ხომერიკს ესაუბრა.**

**ვლადიმერ ხომერიკი:**

– რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის არჩევნები გამჭირვალედ და კომპეტენტურად ჩატარდა. ყველა პარტიას ჰქონდა იმის საშუალება, რომ გამოეჩინა თავისი შესაძლებლობები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იყვნენ თანაბარ მდგომარეობაში, პირობებში, რა თქმა უნდა, თითოეულს ჰქონდა განსხვავებული რესურსი, ფინანსური და ორგანიზაციული შესაძლებლობები. ყველა ამ კომპონენტში, რა თქმა უნდა, ,,ედინაა რასია“ ყველას სჯობნიდა (ეს თავიდანვე გასაგებიც იყო), ეს მმართველი პარტიაა და ამაში გასაკვირი არც არაფერია. არჩევნების შედეგები მოსალოდნელიც იყო, მეტიც, მოცემულმა პროცენტმა ,,ედინაა რასია“ გააკვირვა. რა თქმა უნდა, ყველა ძალა ცდილობს გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსი, მაგრამ უნდა გავიგოთ, რომ ამ რესურსებს აქვს განსაზღვრული რადიუსი, ზღვარი და ზემოქმედების პროცენტი. აი, ეს არ იყო ჩაშვებული მთელი ძალით, აქედან გამომდინარე, არჩევნების შედეგებში რუსეთის ამომრჩევლების განწყობა ობიექტურად აისახა. სხვა საქმეაა, რომ მიუხედავად დიდი რაოდენობის ხალხის მისვლისა არჩევნებზე, 40 % მაინც არ მივიდა და გასაგებია, რომ ეს არის ოპოზიციური ელექტორატი, რომელიც ფიქრობს, რომც ჩაერიოს ყველაფერი გადაწყდება ისე, როგორც მმართველ პარტიას უნდა. აი, ეს არის ძირითადი შეცდომა ხალხისა და ოპოზიციის. ხალხი არ მიდის, ხმას არ აძლევს იმ პარტიას, რომელიც მოსწონს, შემდეგ კი უკვირს ის შედეგები, რომელიც საბოლოოდ იდება. ფაქტია, სხვადასხვა რესურსებს და ფალსიფიკაციას აქვს საზღვარი და 15– 20 %-ია ის მაქსიმუმი, რაც შეიძლება მიემატოს. ამის შედეგია ამომრჩეველთა მცირე რაოდენობის გამოცხადება არჩევნებზე და მკვდარი სულების სიების გაზრდა, რაც ქართველმა ხალხმა მშვენივრად იცის – მხატვრული მიწერა, ვგულისხმობ, საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წლის იანვარსა და მაისში ჩატარებულ არჩევნებს. რუსი ხალხი თვითონ გაერკვევა პოლიტიკოსების მიმართ სიმპათიებსა და პრეტენზიებში და ღმერთმა ქნას, რომ სხვა ქვეყნებშიც (ამერიკის გამოკლებით, რომელზე საუბარიც საერთოდ სირცხვილია, რადგან იქ საერთოდ არ არის პირდაპირი არჩევნები, ისინი არ აძლევენ თავიანთ ხალხს არჩევანის უფლებას და ამას აკეთებენ მათ მაგივრად სპეციალური ამომრჩევლები) (?!) არჩევნები ტარდებოდეს ისე ღიად, როგორც ჩატარდა რუსეთში.



ვლადიმერ ხომერიკი

***– და არჩევნების შემდეგ რუსეთში შექმნილ მდგომარეობას როგორ აფსებთ, ბატონო ვლადიმერ? პუტინის მტკიცებით, საპროტესტო ტალღა აშშ-დან იმართება... თქვენ რას ფიქრობთ, შესაძლოა, რომ აქციები უცხო ქვეყნიდან იმართებოდეს?***

– რაც შეეხება არჩევნების შემდგომ სიტუაციას რუსეთში. ამას აქვს 2 მიზეზი. პირველი – მორიგე ოპოზიციის ორგანიზებული ქმედებები, რომელიც საზღვარგარეთის გრანტებზე ზის და ფინანსდება, რომელიც თავიანთ პურს ამ სახით შოულობდა და უნდოდა დესტაბილიზაციის მოწყობა რუსეთში. მეორე – ეს არის სხვადასხვა მასა უკმაყოფილო ხალხისა, რომელიც თავის დროზე აღმოჩნდა გაკოტრებული, ვგულისხმობ, რუსეთის ექსჩინოვნიკებს, მოხელეებს, ისეთებს, როგორებიც არიან კასანოვი, ნემცოვი და სხვა პოლიტიკური აჩრდილები. ისინი ყოველთვის უკმაყოფილოები და ორგანიზატორები და მომწყობი არიან ამ აქციებისა. ეს არის ჯგუფი შოვინისტებისა და ნაციონალისტების, როგორიცაა ლიმონოვი, პოტკინი და სხვა ,,მებრძოლები“, რომელთა შორის ძნელია მოძებნო ინტელიგენტი და ნამდვილი რუსი. პლუს დაუსაქმებელი და სოციალურად უკმაყოფილო ახალგაზრდობა, ცნობისმოყვარეები და სხვადასხვა ,,ტუსოვშიკები“. აი, ძირითადად ესენი ცდილობდნენ პროტესტის გამოხატვას. ასევე არ გამოვრიცხავ, რომ მათ შორის 2 – 3 ათასი იდეური მებრძოლიც იყო და რამდენიმე ათასი ადამიანი არჩევნებში მონაწილე პარტიების მხარდამჭერები. მაგრამ ვერაფრით გამიგია, კომუნისტურ პარტიას და სამართლიან რუსეთს როგორ შეეძლოთ მდგარიყვნენ კასიანოვთან და კომპანიასთან ერთად, მით უმეტეს, ნაციონალ შოვინისტებთან? მით უმეტეს, ისინი არჩევნების დასრულების შემდეგ კმაყოფილები იყვნენ შედეგებით და მეტად პროგნოზირებადები. თუ პიარისთვის ყველა მეთოდი კარგი და გამოსადეგია, ქვეყნის ინტერესები კი გვერდით აქვთ გადაწეული?

***– საზოგადოების ნაწილს მედვედევ-პუტინის მმართველობის დასრულება არ სურს?***

– რა თქმა უნდა, ამაში მეც ვხედავ ამერიკისა და მისი ვასალების ხელს, მათ მონაწილეობას, რომლებიც აფინანსებდნენ, პროვოცირებას ახდენდნენ, რათა დესტაბილიზაცია ყოფილიყო რუსეთში. მათ შურთ, ეშინიათ რუსეთის. უცნაურია, რომ თქვენ ამას მე მეკითხებით საქართველოდან, რომელიც მთლიანად იმართება შორეული და ქართული მენტალიტეტისთვის უცხო ამერიკისგან. ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რას სჩადის ამერიკა მთელ მსოფლიოში თავისი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის? განა ვერ ხედავთ რამდენი ტკივილი მოაქვს ამერიკის პოლიტიკას მსოფლიოსთვის, როგორ უგულებელყოფს და აიგნორებს ევროპის ინტერესებს და სადამდე მიიყვანა რეალურად საქართველო? თქვით, რა შეიძლება საქართველოს აკავშირებდეს რეალურად ამერიკასთან? რწმენა, კულტურა, მეზობლობა, ეკონომიკა, ტრადიცია, მენტალიტეტი? რა თქმა უნდა, ძნელია მოიძებნოს რაიმე საერთო, იმის გარდა, რომ ისინი აფინანსებენ საქართველოს გამყიდველ პოლიტიკოსებს და იყენებენ ჩვენ საქართველოს, როგორც გეოპოლიტიკურ წერტილს რუსეთის მოსაწამლად, მომავალ საომარ პლაცდარმს და სამიზნე ხორცს თავის ავანტიურულ ქმედებებში ავღანეთსა და ერაყში. მინდა გავაფრთხილო ყველა, ვისაც უნდა დესტაბილიზაცია რუსეთში და რუსეთის დაშლა. რუსეთი იყო, არის და იქნება სუპერ სახელმწიფო, რა იარლიყებიც არ უნდა მიაკერონ და რა რეიტინგებიც არ უნდა მიაწერონ. აი, მე, სააკაშვილის მომავლისთვის კაპიკს არ გავიღებდი და დარწმუნებული ვარ, მას თავად ქართველი ხალხი მოისვრის ისტორიის სანაგვეზე.

***– ევროპარლამენტი რუსეთს განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების გამართვისკენ მოუწოდებს და რუსეთში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით სპეციალური რეზოლუციის მიღებასაც გეგმავს. როგორ აფასებთ, რა შეიძლება მოჰყვეს ამას?***

– ევროპარლამენტი არ არის ის ორგანო, რომელსაც შეუძლია და უნდა ერეოდეს ასე უხეშად რუსეთის საქმეებში. პირველ რიგში, უამრავი საერთაშორისო დამკვირვებელი იღებდა მონაწილეობას არჩევნების მზადების პროცესში. ძალიან უცნაურია, რომ მათი დასკვნა არ ემთხვევა ევროპარლამენტის დამკვირვებელთა მოსაზრებებს რუსეთის ,,მეგობრების“ რიცხვს, რომლებმაც არასერიოზულ საფუძველზე გამოთქვეს თავიანთი აზრი მთელს ევროპარლამენტში, რომელიც, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტი აუცილებელია, მაგრამ პირველ რიგში, ხშირად სცოდავს 2 ან 3 სტანდარტით და რეალურად, არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს. ასე რომ, იმის გათვალისწინებით, რომ მათი აზრი რეალურად არ არის ობიექტური, შეუძლიათ თავიანთი გადაწყვეტილება წერონ და იკითხონ დღეში ათჯერ, თუ სურთ. რაც შეეხება რუსეთს, საპარლამენტო არჩევნები წარმატებულად ჩატარდა, შედეგები მიღებულია და დუმას შეუძლია დაიწყოს მუშაობა რუსეთის საზოგადოების საკეთილდღეოდ და არა რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაციის სასარგებლოდ. რუსეთს არ ჰყავს გამყიდველი მთავრობა, ისეთი, როგორიც ახლანდელი საქართველოს მთავრობაა, რომელიც დაყრდნობილია ამერიკასა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებზე. ჩემი შეფასებით, ამას არაფერი მოჰყვება, რადგან რუსეთი საკმარისად დემოკრატიული სახელმწიფოა. რუსეთის ბედს ***წყვეტს თავად ხალხი და არა საზღვარგარეთის ორგანიზაციების რეკომენდაციები, მით უმეტეს, არაობიექტური.***

გაგრძელება მე-7 გვერდზე

---

# თევდორე მღვდლის ქუჩაზე ხანძრის შედეგად 20 ოჯახი საცხოვრებელი ფართის გარეშე დარჩა



თევდორე მღვდლის ქუჩაზე, №44-ში ხანძრის შედეგად 40 ოჯახიდან 20 ოჯახი საცხოვრებელი ფართის გარეშე დარჩა.

თევდორე მღვდლის №44-ში მდებარე სამსართულიანი სახლში, რომელიც იტალიურ ეზოში მდებარეობს, გამთენიისას გაჩენილი ხანძრის შედეგად სრულად დაიწვა 20 ბინა, ხოლო დანარჩენ სახლებში ცხოვრება მეტნაკლებად შესაძლებელია.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სახანძრო სამსახურის უფროსის დავით ფრუიძის განცხადებით, ხანძარს 18 სახანძრო მანქანა აქრობდა. გამოძახებიდან 5 წუთში სამაშველო ბრიგადები თევდორე მღვდლის ქუჩაზე მივიდნენ. მოსახლეობის გამოყვანა ცეცხლმოდებული შენობიდან სახანძრო კიბეების საშუალებით მოხერხდა.

დამწვარია 400 კვ.მეტრის ფართი, ასევე დაზიანებულია ეზოში მდგარი ავტომანქანები.

ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია. დაზარალებული მობინადრეების განცხადებით, თავს ნათესავებს შეაფარებენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც წასასვლელი არსად აქვთ.

ინტერპრესნიუსი

# დავით გამყრელიძე: „ივანიშვილი პოლიტიკურ პარტნიორებს აფინანსებს“

## პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესი მკაცრდება


დავით გამყრელიძე

თეა მარხვაიძე

პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მისით დამფრთხალი ნაციონალები ხან რას იგონებენ და ხან რას. ეჭვი არავის ეპარება, რომ გიგი უგულავამ თბილისის მოსახლეობას სამგზავრო ბარათებზე 5-5 ლარი სწორედ ივანიშვილის გამო დაურიცხა. იმავე ადამიანს უნდა ვუმადლოდეთ 30-ლარიან ვაუჩერებს, რომელსაც ხელისუფლება ახლა არიგებს სოფლად.

5-ლარიანი და 30-ლარიანი დახმარებით ხელისუფლება ივანიშვილს კონკურენციას ვერ გაუწევს. ისიც კარგად იციან, რომ მასთან საბრძოლველად ახალი სქემებია საჭირო. მაგალითად, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ივანიშვილმა თავისი ფინანსები ოპოზიციურ სპექტრს არ მოახმაროს.

და ეს ასე რომ არ მოხდეს ხელისუფლებამ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა გადაწყვიტა.

ყველასთვის ცნობილია, რომ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასა და, ზოგადად, პარტიების საქმიანობის მიმართ კანონი მკაცრდება.

პროექტზე ვენეციის კომისიას დასკვნა უკვე მზად აქვს, თუმცა 20 დეკემბერს პროექტში დამატებითი ცვლილებები ისევ შევიდა, რომელიც პოლიტიკურ პარტიებსა და მასთან ურთიერთობაში მყოფ პირებს დამატებით შეზღუდვებს უწესებს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა გაიმართა.

— პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ნორმების გამკაცრების მიზანი ქართული კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა იყო, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განუცხადა.

მისი თქმით, მიმდინარე წლის ზაფხულს საქართველოს ევროსაბჭოს ანტიკორუფციული კომისია „გრეკოს“ დელეგაცია სტუმრობდა. სწორედ ის არის შესაბამისი ორგანო, რომელიც რეკომენდაციებს ფულის გათეთრების კუთხით იძლევა, რათა არ დარჩეს კანონმდებლობაში ნიშები, რომლითაც ფულის არალეგალური გადარიცხვები და გათეთრება გახდება შესაძლებელი.

— ამ თვალსაზრისით, „გრეკოს“ ექსპერტებს მთელი რიგი რეკომენდაციები ჰქონდათ და ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით არის მომზადებული კანონი. კანონმა ექსპერტიზა ვენეციის კომისიაში, ევროსაბჭოსა და ეუთოს შესაბამის სტრუქტურებში გაიარა და დასკვნა საჯარო და დადებითია. რაც შეეხება შენიშვნებს, კანონი მხოლოდ პირველი მოსმენითაა მიღებული და მზად ვიქნებით, ნებისმიერ შენიშვნაზე ოპოზიციასა და არასამთავრობოებთანაც ვისაუბროთ. ამ კანონის მიღების ამოცანა ნამდვილად არაა ვინმეს შეზღუდვა, მით უმეტეს, თუ საკითხი არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხება,— აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე ისაუბრა გუშინ ახალი მემარჯვენეების ლიდერმა დავით გამყრელიძემ.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პარტნიორებს აფინანსებს, ამის შესახებ დავით გამყრელიძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

— ბატონ ივანიშვლს რაიმე პოლიტიკური სიბრძნეები არ შემოუთავაზებია, რომ ამის გამო იხუვლა სრულიად ოპოზიციამ და დღეს ცდილობენ მის გარშემო გაერთიანებას. მიმზიდველი იყო და არის ფინანსები, ამაში დასაძრახი კი არაფერია, მე შემიძლია დაწმუნებით ვთქვა, რომ ასე ხდება და ეს ბუნებრივიცაა. ივანიშვილის პოლიტიკური პარტნიორები ამ ფინანსებით შეეცდებიან, რომ გააძლიერონ თავიანთი პოზიციები და შედეგი მიიღონ არჩევნებზე, — განაცხადა გამყრელიძემ.

გამყრელიძემ განმარტა რომ ფული ყველა პოლიტიკური პარტიისთვის აუცილებელია

— ფული პოლიტიკური პარტიებისთვის აუცილებელია, რაც შეეხება ფულის წარმომავლობას, ფაქტია, რომ ივანიშვილმა ფული რუსეთში იშოვა და ამას თავადაც არ მალავს. ისიც ფაქტია, რომ იმ წლებში და დღესაც რუსეთში ფული


დავით ბაქრაძე

სპეცსამსახურების გარეშე არ იშოვებოდა. დღეს ამ ფულს უკვე ბიძინა ივანიშვილის სახელი ჰქვია, ფულის წარმომავლობით კი თავად პარტნიორი პარტიები უნდა დაინტერესდნენ. ჩემი აზრით, ხელისუფლებაც არ დააკლებს მცდელობას, რომ ამას ნათელი მოეფინოს. ივანიშვილის ფული „გაზრპრომის“ არის თუ „ფე-ეს-ბესი“, ამას მე ვერ გეტყვით, — აცხადებს მემარჯვენეების ლიდერი.

მას ამის დადგენა სხვებისთვის მიუნდვია. და თუ ეს ასეა მაშინ მას კითხვები ნაციონალებთანაც აქვს. რომლებსაც ივანიშვილი საკმაოდ გულუხვად აფინანსებდა 2008 წლამდე.

ისე მართლაც საინტერესოა თუ გაზპრომის ფული იყო ეს ცყველაფერი, სამშობლოზე მზრუნველი ნაციონალები მას ხელს როგორ კიდებდნენ.

# ჯიოევა საბოლოოდ გადააგდეს

## ოსური ოპოზიცია პუტინის იმედად დარჩა


ალა ჯიოევა

თეა მარხვაიძე

10 დეკემბერს ტყუილად გამართა ოსურმა ოპოზიციამ ტაშფანდური. ტყუილად თქვეს დაანონსებულ ინაუგურაციაზე უარი. რამდენიმე დღეში გაარკვიეს, რომ კოკოითის განცხადება გადადგომის შესახებ ბევრს არფერს ნიშნავდა და ეს მხოლოდ იმისთვის გაკეთდა, რომ ჯიოევას ინაუგურაცია აღარ გაემართა.

ამის გარდა საჭირი იყო აღშფოთებული ხალხის დაშოშმინებაც, რომლებიც ცხინვალის ცენტრში აქციებს მართავდნენ და კოკოითის გადადგომას ითხოვდნენ.

ვითარების განმუხტვის მიზნით კრემლმა ცხინვალში თავისი კაცი მიავლინა. იმ კაცმა ალა ჯიოევა და კოკოითი რამდენჯერმე შეახვედრა ერთმანეთს.

თავიდან ჯიოევა ცივ უარზე იყო, მაგრამ ბოლოს დათმობაზე წავიდა. დათმო იმიტომ, რომ პირობა მისცეს, კოკოითი წავიდოდა და თან თავის ხალხს გაიყოლებდა.

ოპოზიცია ვადიმ ბროვცევის გამოც მოტყუვდა. ეს კაცი აქ რამდენიმე წლის წინ დაინიშნა პრემიერად. წარმოშობით ჩელიაბინსკელი პრემიერი და კოკოითი ერთმანეთში ვერასდროს რიგდებოდნენ. როგორც ამბობენ, კოკოითიმ მისი გადაყენების შესახებაც კი მოაწერა ბრძანებას ხელი. მოსკოვიდან განხორციელებული ზარის შემდეგ კი ეს ბრძანება უკან წაილო.

მათ შორის ყოველთვის ცუდი ურთიერთობა იყო. ოპზიციამ ჩათვალა, რომ ბროვცევი მათ წისქვილზე დაასხამდა წყალს. ამიტომაც მოითხოვეს, რომ ქვეყნის მეთაურის მოვალეობა მომავალ არჩევნებამდე ვადიმ ბროვცევს შეესრულებინა.

ეს მოთხოვნა დააკმაყოფილეს. ძალიან მალე ცნობილი გახდა, რომ კრემლი სხვა დათმობებზე აღარ წავიდოდა. სწორედ კრემლის მითითებით თქვა ბროვცევმა უარი ანატოლი ბარანკევიჩის ვიცე-პრემიერად დანიშვნაზე.

ბარანკევიჩი თავის დროზე სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი იყო. აგვისტოს ომის დროს კი მას უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა ეკავა. კოკოითისთან ურთიერთობა გენერალ ბარანკევიჩს ომის შემდეგ გაუფუჭდა.

ამის გამო მას თანამდებობა დაატოვებინეს. ბარანკევიჩი ოსი ოპოზიციონერების რიგებში აღმოჩნდა. ბოლო დროს ის ოსური ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერად შერაცხეს. საარჩევნო პერიოდში და იმის შემდეგაც ის აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში.

ბროვცევმა მის დანიშვნაზე უარი თქვა. იმავე საღამოს ცხინვალში ანატოლი ბარანკევიჩის კუთვნილი ავტომანქანა ნივა დაწვეს.

ეს ქმედება ოპოზიციამ ბუნებრივია, შეუფასებელი არ დატოვა. მათი თქმით, ეს გარკვეული მინიშნება იყო იმაზე, რომ ხელისუფლება ოპოზიციის პირობების დაკმაყოფილებაზე არ წავიდოდა.

ოსურ ოპოზიციას გონება ადგილობრივი პარლამენტის გადაწყვეტილებამაც გაუნათა. წასვლამდე კოკოითიმ ადგილობრივი პროკურორისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოხსნის შესახებ ბრძანებულება დაწერა.

ოპოზიციამ ამის გამოც გაიხარა, მაგრამ გაირკვა, რომ ნაადრევად. რადგანაც ამ ორი თანამდებობის პირის მოხსნაზე პარლამენტის ნებართვა იყო საწირო. პარალამენტი კი აცამაზ ბიჩენოვს და თეიმურაზ ხუგაევს ვერ შეელია.

ამის შემდეგ ოპოზიციამ უკვე აქციების გამართვა დაიწყო. ამ აქციებს ჯერ ძველებური სახე არ მიუღია. ოპოზიცია პირობას იძლევა, რომ სიტუაციას ისევ გაამწვავებს. ამასთან მათ რუსეთის ხელისუფლების სახელზე გააგზავნეს მიმართვა და მათ მხარდაჭერას ელოდებიან.

სანამ ოპოზიცია სამომავლო გეგმებს აწყობს, ვადიმ ბროვცევი აქტიურ საქმიანობას შეუდგა. ოსური სააგენტო „რესის“ ცნობით, სამხრეთ ოსეთში ახალი უშიშროების საბჭოს ფორმირება მოხდა.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ვადიმ ბროვცევმა გუშინ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს ახალ შემადგენლობას ითვალისწინებს.

— ბრძანებულების თანახმად, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ვადიმ ბროვცევი დაინიშნა. მდივნად კი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ბორის ატოევი, — აცხადებენ ხელისუფლების აპარატში.

უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები შემდეგი თანამდებობის პირები გახდნენ: საგანგებო სიტუაციების მინისტრი, ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატი ანატოლი ბიბილოვი, შს მინისტრი ვალერი ვალიევი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი არსენ გაგლოევი, საგარეო საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევი, საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი ალან ელბაკიევი, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ კოკოევი, პრეზიდენტის მრჩეველი ოლეგ მელნიკი და თავდაცვის მინისტრი ვალერი იახნოვეცი.

ოსური ოპოზიცია კი იმედებს ვლადიმერ პუტინზე ამყარებს. ყველაზე სასაცილო კი ისაა, რომ ოსი ოპოზიციონერები, რომლებსაც თავისი თავისთვის ვერ მიუხედია რუსეთის პრემიერის მხარდასაჭერად აქციებსაც აწყობს.

„ექსპერტთა კლუბის“ ინფორმაციით, პუტინის მხარდაჭერის დაფიქსირების მიზნით ცხინვალში 100-დე ადამიანი შეიკრიბა. ყველაზე პოპულარულად „ხმას ვაძლევთ პუტინს! რუსეთთან ჩვენ სამუდამოდ ვართ!“ ლოზუნგია მიჩნეული. აქცია მიმდინარეობდა არარეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელით. როგორც წყაროები აღნიშნავენ, აქციაში ცხინვალის ოპოზციის ლიდერის ალა ჯიოევას მომხრეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ეტყობა იმ იმედით, რომ პუტინი მათაც „შეიყვარებს“.

— ყოველი შემთხვევისათვის მათ საკუთარი მოთხოვნების — ბიჩინოვის, ხუგაევის, კოკოევის გადაყენების და „ძალაუფლების ხალხისთვის გადაცემის“ მოწოდების პლაკატები ჰქონდათ გამომზეურებული. სრული სურათისათვის ერთი ლენინიღა აკლდათ მხოლოდ, — აღნიშნავენ ქართველი ექსპერტები.

ოპოზიციური ოსური პორტალების ცნობით, უახლოეს დღეებში ოპოზიცია ახალ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს ხელისუფლების ხრიკების წინაარმდეგ. აქაური ოპოზიცია შიშობს, რომ კოკოითი მესამე მოსვლისთვის ემზადება.

ვნახოთ, რას იზამენ ოსი ოპოზიციონერები. ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში მათ ადგილობრივი ხელისუფლება გვარიანად დააწიოკეს. ახლა თავად არიან უფრო დაწიოკებული. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, აზრზე მოსვლის გზას არიან დამდგარი. ალბათ ახალი წლის ზეიმებს გადაიყრიან და მერე უფრო აქტიურად დაიწყებენ საპროტესტო აქციებს. ამასობაში რაღაცებსაც გაარკვევენ და დაასკვნიან, რა მიმართულებით უნდა გაინერვიულონ თავი.

# ლეიბორისტული პარტია საარჩევნო კოალიციებში გაწევრიანებას არავისთან გეგმავს


გიორგი გუგავა

ლეიბორისტული პარტია საარჩევნო კოალიციებში გაწევრიანებას არავისთან გეგმავს. ამის შესახებ „მედიანიუსს“ ლეიბორისტების პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ „ქართული პარტიის“ შესაბამისი ინიციატივის კომენტირებისას განაცხადა.

„ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა ღირსეულ, ნამდვილ ოპოზიციასთან, კოორდინაციაში ვიყოთ მათთან, მაგრამ ლეიბორისტულ პარტიას სტრატეგია უკვე დიდი ხანია გამოცხადებული აქვს, რომ ჩვენ საარჩევნო კოალიციაში არავისთან შევალთ და არ დავიწყებთ მანდატებზე ვაჭრობას. მას შემდეგ რაც არსებული რეჟიმი დამარცხდება, კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას მხარს დავუჭერთ“, — განაცხადა გუგავამ.

კითხვაზე, ითანამშრომლებენ თუ არა სამომავლოდ ლეიბორისტები ბიძინა ივანიშვილთან, გუგავა აცხადებს, რომ ისინი მხოლოდ ჯანსაღ ოპოზიციასთან აპირებენ კოორდინირებულ მუშაობს.

„ეს არ ეხება იმ ძალებს, ვინც უცხოეთიდან იმართებიან“, — განაცხადა გუგავამ.

რაც შეეხება იმას, აპირებს თუ არა ლეიბორისტული პარტია 2012 წლის საპარალმენტო არჩევნებში მონაწილეობას, ლეიბორისტების გენერალური მდივანი იოსებ შატბერაშვილი აცხადებს, რომ არჩევნებამდე ჯერ საკმაოდ დიდი დროა: „გააჩნია როგორი ვითარება იქნება, ვნახოთ, სიტუაციიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ“, — განაცხადა შატბერაშვილმა „მედიანიუსთან“ საუბარში.

**მედიანიუსი**

# რუსეთიდან საქართველოში 221 მილიონი დოლარის ტრანსფერი განხორციელდა

2011 წლის მესამე კვარტალში ფიზიკური პირების მიერ რუსეთიდან საქართველოში 221 მილიონი აშშ დოლარის ტრანსფერი განხორციელდა. ამ მონაცემებს რუსეთის ბანკის ოფიციალური ვებგვერდი აქვეყნებს.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის მესამე კვარტლის განმავლობში საქართველოდან ფიზიკურმა პირებმა რუსეთში 13 მილიონი აშშ დოლარი გადარიცხეს.

იგივე პერიოდის განმავლობაში რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით 436 მილიონი აშშ დოლარის ტრანსფერი განხორციელდა, ხოლო აზერბაიჯანის მიმართულებით — 356 მილიონი აშშ დოლარის.

**მედიანიუსი**

# თბილისში ნაძვის ხის ბაზრობები გაიხსნა

თბილისის მერიის ორგანიზებით დედაქალაქის მასშტაბით ნაძვის ხის 12 ბაზრობა გაიხსნა.

საახალწლო მთავარი ატრიბუტის გასაყიდად თბილისის მერიამ სპეციალური ადგილები გამოყო. ბაზრობაზე სხვადასხვა ჯიშის ნაძვის ხეები იყიდება.

დედაქალაქის მოსახლეობა ნაძვის ხის შეძენას თბილისის სხვადასხვა უბანში შეძლებს.

ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა.

„მოთხოვნა დიდია წინასაახალწლო დღეებში და შესაბამისად, ქალაქის მასშტაბით 12 ადგილია გამოყოფილი. ამავდროულად ჩვენი სამსახურების მეშვეობით მკაცრად კონტროლირდება ქალაქის შემოგარენი, რათა არ მოხდეს ნაძვის ხის უკანონო მოჭრა“, — განაცხადა თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსმა გიორგი ქორქაშვილმა.

**მედიანიუსი**

# ირაკლი მელაშვილი: „უნდა დავითვალოთ, რამდენი ამომრჩეველი მივა არჩევნებზე“

ნათია ხურცილავა

**ახალ საარჩევნო კოდექსს წლის ბოლომდე მიიღებს პარლამენტი. პირველი მოსმენით პარლამენტმა უკვე უყარა კენჭი კანონპროექტს. გაითვალისწინებს თუ არა არასამთავრობო სექტორის შენიშვნებს ხელისუფლება, ამას დრო გვიჩვენებს.**

## ინტერვიუ ირაკლი მელაშვილთან

***— ბატონი ირაკლი, კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისათვის“ პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს წინადადებათა პაკეტს სთავაზობს. რას ითვალისწინებს თქვენი შეთავაზებები?***

— საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ხუთპუნქტიანი შეთავაზება გვაქვს, რომელიც ითვალისწინებს: პირველი, არჩევნების დღეს კენჭისყრების დრო 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე შემოიფარგლოს. ამ მოთხოვნის მიზეზი არის ის, რომ საღამის 8 საათზე, კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ძალიან დიდხანს გრძელდება შეჯამების, ხმების დათვლის პროცესი. უკიდურესად გადაღლილი არიან საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დამკვირვებლები. ეს იწვევს უამრავ შეცდომას. ამიტომ თუ 6 საათზე დასრულდება კენჭისყრის პროცესი, საღამოს 10–12 საათისთვის წინასწარი შედეგები გვეცოდინება, რაც ზოგადად პოლიტიკურ კლიმატზეც კარგად იმიქმედებს. ამით დარღვევების რიცხვიც მნიშვნელოვნად შემცირდება. 16-18 საათი უწევთ კომისიის წევრებსა და დამკვირვებლებს მუშაობა, რაც საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით რეგიონებში.

***— მეორე შეთავაზება რას ითვალისწინებს?***

— ეს ეხება საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას. მივმართავთ პარლამენტს, რომ კანონმდებლობაში შეიტანონ ცვლილება, რათა გამჭვირვალე გახდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა. კანონმდებლობით ცესკოს საქმიანობა გამჭვირვალეა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია სხდომაზე დასწრება, მაგრამ ცხოვრებაში ამის განხორციელება ძალიან რთულია.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ყველა მსურველი ვერ დაესწრება სხდომას ფიზიკურად, რადგან რაოდენობა შეზღუდულია. ამიტომ ვთავაზობთ, რომ ლაივში, პირდაპირ ეთერში (ინტერნეტით) გადაიცეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომები. ამ შემთხვევაში ტრანსლაციის მეშვეობით ყველა მსურველს ექნება შესაძლებლობა, რომ ნახოს და დაკვირვებაც აწარმოოს და შესაბამისი ინფორმაცია მიიღოს. გარდა ამისა, საოლქო კომისიის სხდომები ორი თვის განმავლობაში, როდესაც საარჩევნო პერიოდი იქნება, ასევე გადაიცეს პირდაპირ ეთერში. ამის გაკეთება ტექნიკურად ძალიან მარტივია, დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული და უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის სრულ გამჭვირვალობას. მესამე ცვლილება, რასაც ვითხოვთ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ახალი კანონმდებლობით ცესკოს ბევრი ფუნქცია ჩამოერთვა, მაგალითად, ხმის დათვლის პროცესი ფაქტიურად




ოლქებში გადადის. თუ დამკვირვებლებს ძირითადად ცესკოში უწევდათ საქმიანობა, ახლა ოლქებში მოუწევთ, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობით, საარჩევნო ოლქში არსად არ არის გაწერილი არც უბნებიდან შემოსული დოკუმენტაციის, საარჩევნო ოლქების მიღების პროცესი, არც დამკვირვებლებისა და მედიის უფლებები. საერთოდ ღია არის ეს საკითხი. ერთგან, 75-ე მუხლში საუბნო კომისია შეჯამებას ახდენს და სხვა არაფერი. ჩვენ გავწერეთ პროცედურა, თუ როგორ უნდა მოხდეს უბნებიდან შემოსული დოკუმენტაციის მიღება, რომელიც დამკვირვებლების მონაწილეობით უნდა მოხდეს. რაც მთავარია, ხმების დათვლა უნდა მოხდეს საჯარო კომისიის სხდომაზე, სადაც დამკვირვებლებს დასწრების უფლება ექნებათ.

მეოთხე ცვლილება, რომელსაც ვითხოვთ, ეხება იმას, რომ სანამ გაირკვევა არჩევნების შედეგები, სანამ გაიხსნება ყუთები უბნებზე, მანამდე მოხდეს უბანზე მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობის დაფიქსირება. ეს ძალიან მარტივია. ბიულეტენების შეკვრა იგზავნება უბანზე და შემდეგ, როდესაც არჩევნები მთავრდება, ხდება ამ დოკუმენტის დალუქვა.

***— თქვენ რას ითხოვთ?***

— ჩვენ ვითხოვთ, დათვალონ რამდენი ამომრჩეველი მოვიდა, შედგეს დოკუმენტი. ორი ვარიანტი გვაქვს წარმოდგენილი: შესაძლებელია არსებულ ოქმში შედგეს, ოღონდ მას ცალკე უნდა მოეწეროს ხელი და ამისი ქსეროასლები უნდა გადაეცეს დამკვირვებლებს. მონაცემები კი გაიგზავნოს საოლქოსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაიხსნას საარჩევნო ყუთი და ხმები მერე დავითვალოთ, რათა ხმის შედეგებიდან გამომდინარე არ მოხდეს მოსულ ამომრჩეველთა რიცხვით მანიპულირება. საქართველოში ეს არის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა.

კიდევ ერთი ცვლილება, რასაც ჩვენ ვთავაზობთ, ეხება ხმის მიცემის ბიულეტენების სკა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „ბილაინი“ აპირებს გაამყაროს და გაიუმჯობესოს პოზიციები საქართველოს ბაზარზე



## სერგეი ზაკურაევი: „2 წელიწადში „ბილაინი“ საქართველოში №2 მობილური ოპერატორი გახდება“

ანა წილოსანი

„პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ქართული ბაზარი ძალიან საინტერესო და კონკურენტულია. ბაზარზე 3 დიდი კომპანია ოპერირებს, მაგრამ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ის წილი, რაც ამ ბაზარზე გვაქვს და მომავალში ვაპირებთ, ის მნიშვნელოვნად გავზარდოთ. 2 წელიწადში „ბილაინი“ საქართველოში №2 მობილური ოპერატორი გახდება“, — ეს განცხადება ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე „ბილიანის“ ახალმა გენერალურმა დირექტორმა სერგეი ზაკურაევმა გააკეთა და დასძინა, რომ „ამის შესაძლებლობას კომპანიაში კარგად ხედავენ“.

სერგეი ზაკურაევის ქართველ ჟურნალისტებთან პირველი შეხვედრა 21 დეკემბერს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ შედგა. მან აღნიშნულ თანამდებობაზე ანდრეი პიატახინი შეცვალა, ეს უკანასკნელი კი „ვიმპელკომის“ სათაო ოფისში ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა.

ქართველ ჟურნალისტებთან პირველ შეხვედრაზე კი „ბილაინის“ ახალმა გენდირექტორმა არა მხოლოდ განვლილ პერიოდზე, არამედ კომპანიის მომავალ გეგმებზეც ისაუბრა.

„საქართველოში „ბილაინი“ ახალგაზრდა, მაგრამ წარმატებული მობილური ოპერატორია. იმისათვის, რომ დინამიურად განვითარდე, ბაზარზე ორ მსხვილ მოთამაშესთან კონკურენციის პარალელურად, აუცილებელია ფოკუსირება მომხმარებლის მოთხოვნაზე. ამასთან, საჭიროა, პროგრესული ბიზნეს-გადაწყვეტილებების დანერგვა და კრეატიული მიდგომის გამოყენება. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ბევრს მივაღწევთ იმ გუნდთან ერთად, რომელმაც დასაწყისში უკვე უზრუნველყო კომპანიის წარმატება“, — აღნიშნა სერგეი ზაკურაევმა.



სერგეი ზაკურაევი კომპანია „ვიმპელკომში“ 2003 წლიდან მუშაობს, 2003 წლის ივლისში კომპანიის სამხრეთ რუსეთის რეგონის „ბილაინის“ კომერციული დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა, შემდეგ ხელმძღვანელობდა სტავროპოლისა და როსტოვის ფილიალებს; 2008 წელს დაინიშნა „GTL mobaili“-ს კომერციულ დირექტორად, რომელიც ვიეტნამში ვილპელკომისა და GTL-ს ერთობლივი საწარმოა. 2011 წლის თებერვალში კი, სერგეი ზაკურაევი უზბეკეთში რეგიონული განვითარების დირექტორი გახდა. სერგეი ზაკუროვმა მიიღო კორპორატიული უმაღლესი ჯილდო ბრილიანტის ფუტკარი.

„ვიმპელკომის“ ვიცე-პრეზიდენტი ბიზნესის განვითარების მიმართულებით დიმიტრი კრომსკი კი აღნიშნავს, რომ სერგეის გამოცდილება და ცოდნა დაეხმარება, ღირსეულად გააგრძელოს კომპანიის პოზიტიური დინამიკა და გაამყაროს „ბილაინის“ პოზიციები საქართველოს ბაზარზე.

„გასული 2 წლის განმავლობაში „ბილაინმა“ საქართველოში ბიზნესის განვითარების კუთხით დიდ წარმატებას მიაღწია. აქტიური სააბონენტო ბაზა და კომპანიის შემოსავალი ორჯერ გაიზარდა, ხოლო მთლიანი მოგება — თითქმის სამჯერ. ამასთან, ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა დაფარვის ზონაც. კერძოდ, მთლიანად დაიფარა თუშეთი, სვანეთი, „ბილაინის“ სიგნალი გაუმჯობესდა თითქმის ყველა მთავარ ტრასაზე.

„ამასთან, განხორციელდა ისეთი რთული პროექტები, როგორიცაა „მობაილ ნამბერ პორტაბილიტი“ (პორტირება), მობილური ნომრების თორმეტნიშნაზე გადასვლა და პირველად კავკასიაში უახლესი ტექნოლოგიის მე-4 თაობის ინტერნეტის შესაძლებლობების დემონსტრირება. დარწმუნებული ვარ, რომ სერგეის გამოცდილება და ცოდნა დაეხმარება, ღირსეულად გააგრძელოს ჩვენი ბიზნესის პოზიტიური დინამიკა და გაამყარებს „ბილაინის“ პოზიციებს საქართველოს ბაზარზე“, — აცხადებს „ვიმპელკომის ვიცე-პრეზიდენტი, ბიზნესის განვითარების მიმართულებით დიმიტრი კრომსკი.

„ბილაინის“ კომერციული დირექტორის, ლაშა ტაბიძის შეფასებით კი, საქართველოში აბონენტთა ბაზრის 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 18%-ით არის გაზრდილი. ამასთან, მიმდინარე წელს, 2010 წელთან შედარებით, 25%-ით გაიზარდა კომპანიის შემოსავლები, ხოლო 49%-ით სააბონენტო ბაზა. ასევე, მიმდინარე წელს გაიშვა ოთხი სასტარტო გეგმა კომპანიის მიერ და დამონტაჟდა 175 საბაჟო სადგური, მათ შორის თითქმის სრულიად, 99%-ით დაიფარა სვანეთის რეგიონი.

მისივე განცხადებით, გასული ორი წლის განმავლობაში „ბილაინმა“ საქართველოში ბიზნესის განვითარების კუთხით დიდ წარმატებას მიაღწია. ამასთან, ხელმისაწვდომი იყო სატარიფო გეგმები და მომხმარებელს კომუნიკაციების მარტივად მიწვდომის შესაძლებლობები ჰქონდა. გაუმჯობესებაა ტექნიკური თვალსაზრისითაც.

„კომპაანიის სტრატეგიაა ტელეფონები... ასაკოვანი ადამიანებისთვის გვაქვს ტელეფონი ახალი და დიდი კლავიატურით. მომავალში ახალი შეთავაზებები იგეგმება. ხაზს ამ მხრივაც განვავითარებთ“, — აცხადებს ტაბიძე.

ამასთან, ტაბიძე პორტირებაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ეს პროექტი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

„შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც „ბილაინი“ მოღვაწეობს, საქართველო ერთ-ერთი პირველია, სადაც პორტირება განხორციელდა. საკმაოდ შედეგიანი იყო, ბევრი ახალი აბონენტი შევიძინეთ. კონკრეტულ ციფრებს ვერ დავასახელებ, მთავარია, ამ პროცესმა მხოლოდ დადებითი ეფექტი იქონია. ეს კიდევ ერთხელ გვაძლევს შესაძლებლობას, უფრო მოქნილები ვიყოთ და ჩვენს მომხმარებელს სხვადასხვა პროექტი მივაწოდოთ. ეს, თავის მხრივ, მეტი მოქნილობის და ალტერნატიული შეთავაზებების საშუალებას მოგვცემს“, — აცხადებს ლაშა ტაბიძე.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, როგორც გაირკვა, „ბილაინი“ 2012 წელს გეგმავს მომხმარებელს სეგმენტურად შესთავაზოს უკეთესი ხარისხი, ასევე კომპანია გეგმავს აბონენტთა ბაზის კიდევ უფროს გაზრდას და ჯერ კიდევ დაუფარავი საქართველოს რეგიონების დაფარვას „ბილაინის“ ქსელით.

გარდა ამისა, 2012 წელს „ბილაინი“ აპირებს ისევ გააგრძელოს პროექტი „ნათელი ფერები ბავშვებს“, რომელსაც დაემატება კიდევ ერთი საინტერესო და ამავდროულად, საჭირო პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი ბილაინისგან“. როგორც კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეონა ბალდავაძემ აღნიშნა, ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდება ჯანმრთელი ცხოვრების სტილის პროპაგანდა და მოხდება ძველი ქართული სპორტული თამაშების აღორძინებაც.

„ბოლო 2 წლის განმავლობაში სოციალური აქტივების მიმართულებით სხვადასხვა ინიციატივის ავტორები ვართ. მათ შორის ერთ-ერთი მასშტაბური პროექტია აქცია „ნათელი ფერები ბავშვებს“. მასში აბონენტების ჩართულობა ძალიან მაღალი იყო. ვფიქრობთ, მომავალი წლიდან ჩვენი საქმიანობა უფრო მეტად გააქტიურდება და ანალოგიურ პროექტებს სხვა მიმართულებითაც გავაგრძელებთ. ერთ-ერთი სტრატეგია ჯანმრთელი ცხოვრების პროპაგანდა იქნება, რომელიც მიზნად მივიწყებული ან სულაც დაკარგული ქართული სპორტული სახეობების პოპულარიზაციას ისახავს. პროექტის ფარგლებში, გახშირდება სპორტული და ჯგუფური შეხვედრები, რაც მეტი ურთიერთობების საშუალებას მოგვცემს. ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა 2012 წელს კომპანის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიად განიხილება“, — განაცხადა თეონა ბალდავაძემ.

შედით საიტზე atb.ge



# ბაჩუკი ქარდავა: „პოლიტიკოსები ოთხი წლის შემდეგ უკვე მოითხოვენ ივანიშვილის დამხობას“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავასთან

***– როგორ შეაფასებთ რუსეთის საპარლამენტო არჩევნებს?***

– მთელი მსოფლიო აცხადებს, რომ ეს არ იყო ლეგიტიმური არჩევნები, იგივე დამოკიდებულება გვაქვს ჩვენც, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სოლიდარობას უცხადებს ყველა იმ ადამიანს, რომელიც რუსეთში პროტესტს გამოთქვამს დიქტატურის წინააღმდეგ, ბევრი ჩვენი პირადი მეგობარი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან რომ ებრძოდა იმპერიას, სწორედ მათ გავუგზავნეთ წერილი. ის რომ რუსი ხალხი ქუჩაში გამოვიდა, დემოკრატიულად განწყობილი საზოგადოება რომ სოლიდარულია, ეს იმედს იძლევა, რომ რუსეთში სერიოზული ცვლილებები დაიწყება. საქართველომ კარგად დაინახა, რა შედეგი მოაქვს მისთვისაც რუსეთში იმპერიალისტურად განწყობილ ხელისუფლებას. თუ მოხდება პუტინის შეცვლა და იქ დემოკრატიული ძალების მოსვლა, საქართველოსთვის ეს სერიოზული დადებითი მოვლენა იქნება.

***– მაკკეინმა პუტინს უწინასწარმეტყველა არაბული გაზაფხულის განმეორება რუსეთში. არის კი რუსი ხალხი მზად იმისათვის, რომ ხელისუფლება შეცვალოს?***

– რთულია ამის განჭვრეტა, რუსი ხალხი რისთვის არის მზად. რუსების ქმედებების პროგნიზირება ძნელია, საერთოდ სულ არაფრისგან, ცარიელი ადგილიდან შეიძლება დაიწყოს ბუნტი, მაგრამ სურვილი მაქვს ეს იყოს არა ბუნტი, არამედ დემოკრატიული პროტესტის ფორმით განოხატული მძლავრი აქცია. ბუნტის დროს ხელისუფლებაში იქ მოდიან არა დემოკრატიული ძალები, არამედ ნაციონალისტები. ბუნტის შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს ხელისუფლება, მაგრამ სავარაუდოა, რომ არ შეიცვლება რუსული იმპერიული პოლიტიკა. არაბული გაზაფხულის ან ფერადი რევოლუციის პროგნოზირება რუსეთის მაგალითზე საკმაოდ რთულია. რუსები ან ძალიან ჩუმად არიან ან ძალიან ხმაურობენ.

***– პუტინი ოფიციალურად დარეგისტრირდა საპრეზიდენტო კანდიდატად. მისი მომხრე პოლიტიკოსები და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ის რეფორმებს გაატარებს, რისი საჭიროებაც ცხოვრებამ მოიტანა. როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანი შეიცვლება და გახდება რეფორმატორი?***

– მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა სახის რეფორმებზეა საუბარი. თუ ის გადახედავს საგარეო პოლიტიკას და აღარ იოცნებებს ევრაზიული კავშირის შექმნაზე, ეს იქნება ყველაზე მთავარი ფერიცვალება, თუმცა არ მჯერა, რომ ასეთი კატეგორიის ადამიანი ასე იცვლებოდეს. გარეგნულად შეიძლება გატარდეს ე.წ. მილიციის რეფორმა, დაერქვას პოლიცია, ან გაატაროს რაღაც რეფორმა სოციალურ სფეროში, მაგრამ დასავლეთი პირველ რიგში საგარეო პოლიტიკის საკითხში ელის რეფორმას თუ ასეთი რამ მოხდება. თუ საგარეო შეხედულებებს არ გადახედავს, საშინაო პოლიტიკაში რა რეფორმაც უნდა გაატაროს, აზრი არ ექნება.

***– ევრაზიული კავშირი, ევრაზიული დერეფანი, რა სურს პუტინს ევრაზიული კავშირის აღდგენით?***

– ევრაზიული კავსირი არის სახეცვლილი საბჭოთა კავშირი. პუტინს უნდა ევრაზიული კავშირით მსოფლიოში მეორე პოლუსი შექმნას რუსეთის სახით, მაგრამ რუსეთში მიმდინარე მოვლენები უჩვენებს, რომ რუსეთს ამის საშუალება არ ექნება.

***– პუტინმა განაცხადა, რომ ჩრდილო კავკასიას არ უნდა შეუწყდეს დახმარება, რადგან კავკასიელები მერე რუსეთის ქალაქებში ჩავლენ სამუშაოს საძებნელად, ან ტერაქტებს მოაწყობენ და ეს პროცესები რუსეთის დაშლას შეუწყობს ხელს.***

– მან აღნიშნა, რუსეთის დიდ ქალაქებში რომ არ ჩავიდნენ კავკასიელები, ადგილზე უნდა დავეხმაროთო. თუმცა კავკასიელების პრობლემების სათავე ე.წ. „ფსბე“–ს სპეცსამსახურებია, რომლებიც თავად მართავენ ტერაქტებს რუსეთის ქალაქებში. პუტინს კარგად ესმის, რომ რუსეთს არა თუ გაუჭირდება ახალი ტერიტორიების დაპყრობა, არამედ საკუთარსაც ვერ შეინარჩუნებს.

***– ევრაზიული დერეფნის შესახებ საუბარი შევარდნაძის ხელისუფლების დროს აქტუალური იყო, საუბრობდნენ ნავთობსადენებსა და გაზსადენზე, ახლა ამაზე საუბარი მიჩუმდა. ხომ არ დაკარგა საქართველომ ეს მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია?***

– ამ მიმართულებით ისევ ბევრი რამ კეთდება. სულ მალე დაიწყება ნაბუკოს პროექტის პრაქტიკული განხორციელება. ყველა ის პროექტი, რომელიც იდეაში იყო ჩადებული, ახლა მუშაობს. რუსეთის ხელისუფლება საქართველოს დამოუკიდებლობას ამის გამოც ვერ ეგუება. თუ საქართველო იქნება დასავლეთზე ორიენტირებული დამოუკიდებელი სახელმწიფო, რუსეთი დაკარგავს არა მარტო კავკასიას, არამედ საერთოდ გავლენას მთელ ამ რეგიონზე.



ბაჩუკი ქარდავა

***– პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რამდენად საშიში გახდება რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში, გველოდება თუ არა ახალი ომი რუსეთთან?***

– ამ ეტაპზე ძნელია იმის თქმა, რომ რუსეთს ახალი ომის თავი აქვს. ალბათ ასეთი მუქარანარევი განცხადებები საკუთარ მოსახლეობაზე უფროა გათვლილი. რუსეთს შიდა პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. რუსეთს გაუჭირდება შეგუება დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოსთან. ამის საფრთხე ყოველთვის მოსალოდნელია, მაგრამ ამის საპირწონე უნდა იყოს დასავლეთი და მისი მხარდაჭერა საქართველოსადმი, ნატოს წევრობა და შიდა რეფორმები. დემოკრატიული სახელმწიფოს დაპყრობა ოცდამეერთე საუკუნეში რუსეთს გაუჭირდება. რუსეთი ვერ ეგუება იმას, რომ საქართველოს თავად სურს გადაწყვიტოს როგორი საგარეო პოლიტიკა უნდა აწარმოოს. რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფი საქართველო უფრო მოსწონს, რომელსაც არ ექნება იმის თავი, რომ დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ნატოში იყოს თუ ევრაზიულ კავშირში. ნატოზე უარი ვთქვათ და ამ დიდ დათვს ნუ გადავიკიდებთო ვინც ამბობს, არასწორია, რბილად რომ ვთქვა, ცდება. კონფლიქტები რუსეთის მიერ გაღვივებული ვითომ ოსების ან აფხაზების დასაცავად, იყო მხოლოდ ერთი მიზნით დაწყებული – საქართველოს ევროპულ ინტეგრაციაზე უარი ეთქვა. მისი მხრიდან აქტიურობას უნდა ველოდოთ ჩიკაგოს სამიტის წინ. ამ აგრესიული პოლტიკის საპირწონე არის დემოკრატიული რეფორმები და სამართლიანი არჩევნები საქართველოში.

***– არის საუბარი იმაზე, რომ აშშ–მ შეიძლება ირანს დაარტყას. ირანი აქტიურ ბირთვულ პროგრამას ახორციელებს. პროგნოზი კეთდება, რომ საქართველოსთვის ეს სამხედრო კონფლიქტი რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. რუსეთი ირანს ეხმარება. რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს საქართველოს?***

– ეს არის გლობალური პოლიტიკა. საქართველო დასავლეთის ნაწილია, მაგრამ საქართველოს აქვს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესები. ნაკლებად ველოდები უახლოეს პერიოდში პროცესების ასეთ განვითარებას, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდება, რუსეთმა ეს კონფლიქტი შეიძლება გამოიყენოს არა მხოლოდ ირანის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების აღსადგენად რეგიონში. ამას გამოიყენებს საქართველოზე თავდასხმისთვის, საქართველო ამისთვის მზად უნდა იყოს. ამერიკის ბიუჯეტში შესულია საქართველოს სამხედრო მხარდაჭერის საკითხი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. დასავლეთმა უნდა გაიგოს, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი. რუსეთი შეეცდება ისარგებლოს ირან–ამერიკის დაპირისპირებით და რაც ვერ დაასრულა 2008 წლის აგვისტოში, ახლა სრულფასოვნად განახორციელოს და საქართველოს მთლიანი ანექსია მოახდინოს, მაგრამ როცა ვამბობთ, რომ ამერიკა დაარტყამს ირანს, აქ გათვალისწინებული იქნება ირანის ირგვლივ შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება.

***– რუსეთის ხელისუფლებაც და საქართველოსიც საომარ რიტორიკას იყენებს დიპლომატიაში. სააკაშვილი რუსეთის მიმართ თავშეუკავებელ შეფასებებს აკეთებს. ხომ არ გამოიწვევს ეს ახალ კონფლიქტს?***

– ხშირ შემთხვევაში რიტორიკა ქვეყნის მიმართ სჯობს იყოს უფრო ფრთხილი, მაგრამ როცა ქვეყანა გიპყრობს, რთულია მოზომილი განცხადებები აკეთოს მის მიმართ. რუსეთი სხვაა, ირანი სხვა. ირანთან მიმართებაში ბალანსი უნდა დავიცვათ, რუსეთთან დაკავშირებით ხელისუფლებას ვერ მოვთხოვთ ზომიერ განცხადებებს.

***– საქართველოში პოლიტიკური რეალობა შეიცვალა. არის თუ არა იმის რისკი, რომ ხელისუფლებაში რუსული ორიენტაციის პოლიტიკური ძალა მოვიდეს?***

– ამის რისკი ნამდვილად არსებობს. ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის პოზიცია საზოგადოებისთვის ცნობილია, მიუხედავად იმისა, რა ვითარებაში ვიქნებით არჩევნების შემდეგ, ედპ მაინც გააგრძელებს წინააღმდეგობას იმ ძალასთან, რომელიც რუსული პოლიტიკის გატარებას შეეცდება საქართველოში, როგორც არ უნდა თქვან, რომ ხელისუფლების თამაშს ვთამაშობთ, ჩვენ ამ პოზიციაზე ვიქნებით და პასუხს გავცემთ ყველა იმ პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც ღიად ან ფარულად რუსეთის მომხრე იქნება და მისი გავლენისა საქართველოში.

***– საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში ვართ. ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის პარალელურად რამდენად შესაძლებელია მესამე პოლუსის შექმნა იმ პარტიების მიერ, ვინც დასავლური ორიენტაციისაა და არც სააკაშვილის მომხრეა და არც ივანიშვილის ორბიტაზე ტრიალებს?***

– არის მცდელობა, რომ ჩამოყალიბდეს მეორე პოლუსი ივანიშვილის ირგვლივ, ივანიშვილის მიმართ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა იყო ჩვენგან, რაც ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. ერთი დღე ნატოზე საუბრობს, მეორე დღეს რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაზე. საბოლოოდ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკური კურსი ივანიშვილს და მის გარშემო მყოფი პარტიებისგან ვერ მოვისმინეთ. საქართველოსთვის სასარგებლო არ იქნება მხოლოდ ორი პოლუსის ჩამოყალიბება. საზოგადოებას არჩევანის საშუალება აღარ ექნება. ამ ფონზე უნდა გააქტიურდნენ ცენტრისტული დასავლური ორიენტაციის პარტიები. ივანიშვილმა, შემოვიდა თუ არა პოლიტიკაში, მაშინვე განაცხადა, რომ ზომიერი პოლიტიკური ძალები უნდა გაიყაროს პოლიტიკიდან. მის გვერდით მყოფი პარტიები იგივეს იმეორებენ. ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. მხოლოდ საკუთარი მიზნის მიღწევა სურთ – ხელისუფლებაში მოსვლა. ვარდების რევოლუციის წინაც იგივე ვითარება იყო. მაშინაც იყო დევიზი, ვინც ჩვენს გვერდით არ არის, ჩვენი მტერია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცენტრისტული, დასავლეთზე ორიენტირებული ძალები უნდა გაძლიერდეს. მესამე პოლიტიკური ცენტრი უნდა არსებობდეს, რომელიც არ მისცემს საშუალებას ორ მონსტრს დაეჯახოს ერთმანეთს.

***– საარჩევნო ბლოკი თუ არ შეიქმნება, გაერთიანების სახელი მაინც უნდა ჰქონდეს?***

– საქმეც ეგაა, საქართველოში უნდა დასრულდეს სხვადასხვა იდეოლოგიის პარტიების გაერთიანებები რაღაც იდეის გარშემო. ის პარტიები, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად პარლამენტში შესვლას, ცდილობენ დიდი ფულის მქონე ადამიანის გვერდით თავმოყრას და მასთან ერთად შეპარვას პარლამენტში. საზოგადოებას არჩევანის გაკეთების საშუალება არ უნდა დაეკარგოს. სააკაშვილის ნაცმოძრაობაშიც ჩაეწერნენ თავის დროზე, ახლა ივანიშვილთან ერთად სურთ პარლამენტში მოხვედრა. ივანიშვილი რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, ოთხ წელიწადში დაიწყებენ ლაპარაკს იმაზე, რომ ახლა ივანიშვილია დასამხობი. ასეთ სამოქალაქო დაპირისპირებას კარგი არაფერი მოაქვს ჩვენი ქვეყნისთვის.

***– ძლიერი ფინანსური რესურსები აქვს ხელისუფლებას, ასევე ძლიერია ფინანსურად ივანიშვილი, მესამე ცენტრს ამდენი რესურსი არა აქვს. ფულის ტომრების შეჯახება იქნება მომავალ არჩევნებზე. მესამე ცენტრს რამდენად ექნება შესაძლებლობა არჩევნებში სასურველი შედეგი მიიღოს?***

– ვისურვებდი, რომ ფულის ტომრები მოსკოვიდან არ შემოვიდეს. ამის ნიშნები აშკარად არის. ვენეციის კომისია კატეგორიულად აფრთხილებს პარტიებს, რომ ფინანსები იყოს გამჭვირვალე. ეს არის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა. კანონი თუ არ დაირღვევა, მესამე პოლუსის პარტიები არ აღმოჩნდებიან კაბალურ მდგომარეობაში. ის ფინანსური რესურსები, რომელიც ზომიერ პარტიებს აქვთ, საკმარისია იმისათვის, რომ ორ ტომარას ერთმანეთის პირისპირ დარჩენის საშუალება არ მიეცეთ. საარჩევნო ბლოკზე კი არ არის საუბარი, არამედ პოლიტიკური მოედნის დაკავებაზე. არ უნდა ვუყუროთ მარტო სააკაშვილს და ივანიშვილს.

# ირაკლი მელაშვილი: „უნდა დავითვალოთ, რამდენი ამომრჩეველი მივა არჩევნებზე“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ნირებას. ყუთიდან ბიულეტენები რომ გადმოიყრება, სანამ დაითვლიან, მანამდე უნდა მოხდეს სკანირება, მისი ასლების მიღება ელექტრონული ვერსიით, რომ ნებისმიერ დამკვირვებელს შეეძლოს ფლეშ-მეხსიერების მეშვეობით პარალელური დათვლის პროცესზე დაკვირვება, რაც ბევრად უფრო გაადვილებს საქმეს. რაც მთავარია, მოტივაცია გაქრება, რომ შემდეგში მოხდეს ხმის დათვლის პროცესის გაყალბება. ეს არის ძირითადი ცვლილებების პაკეტი, რასაც ვთავაზობთ.

***– სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც ითხოვენ ცვლილებებს. ერთიანობაში რამდენად ელოდებით, რომ ეს ცვლილებები გათვალისწინებული იქნას?***

– საკმაოდ დიდი პაკეტია ცვლილებების არასამთავრობო სექტორიდან. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „საერთაშორისო გამჭვირვალეობის“ და „სამართლიანი არჩევნების“ შენიშვნები ჩვენ არ გავიმეორეთ. ჩვენ სრულად ვეთანხმებით მათ მოთხოვნებს. მხარს ვუჭერთ, რომ ეს მოთხოვნები აისახოს კანონმდებლობაში. ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ იმ საკითხებზე, რომელიც სხვა სადამკვირვებლო და არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნებში არ არის წარმოდგენილი. მხარს ვუჭერთ 50 პროცენტიანი ბარიერის თუ სხვა უამრავი საკითხის გათვალისწინებას. ამ შენიშვნების გათვალისწინება აუცილებელია, თუ გვინდა, რომ არჩევნებმა მეტ–ნაკლებად ნორმალური სახით ჩაიაროს.

***– წინასწარი შეხვედრები თუ გქონდათ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, როგორია მათი განწყობები?***

– რამდენიმე შეხვედრა გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების იურიდიული კომიტეტის წევრებთან. კერძოდ, პავლე კუბლაშვილთან და ჩიორა თაქთაქიშვილთან. ეს დოკუმენტები მათ ენდიაის მეშვეობით აქვთ გადაცემული. წინასწარი განწყობები არის, მაგრამ რეალურად მაშინ გამოჩნდება, როდესაც მისი ასახვა მოხდება.

***– ისე, პავლე კუბლაშვილი ასახავს ხოლმე განწყობებს, რომელიც აქვთ სახელისუფლო ელიტაში...***

– რაღაცეებზე ფიქრობენ. იმიტომ, რომ მათაც სჭირდებათ გარკვეული შეფუთვა, რომ ეს არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს. მით უმეტეს, თუ რეალობას შევხედავთ, ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტის ძირითადი საკითხები არის სიების შედგენა, ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცედურები, წინასაარჩევნო კამპანია. ფაქტიურად არც ერთი პრინციპული ცვლილება არ არის შესული. პოლიტიკური პარტიების მხრიდან შეთავაზებული არც ერთი შენიშვნა არ იქნა გათვალისწინებული. გარდა ამისა, არის მთელი რიგი საკითხები, რომელიც ამძიმებს ვითარებას, განსაკუთრებით ეს ეხება საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაფინანსებას, რამაც შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას არჩევნებზე დაკვირვების პროცესს.

***– ვიდეო კამერები რჩება თუ მოიხსნა საარჩევნო უბანზე?***

– ამ საკითხზე ძალიან პრინციპული პოზიცია აქვს ხელისუფლებას, რომ ვიდეო თვალი არ დაუშვას. დაბრუნდება ის ფორმულირება, რომელიც ეხებოდა გადაღების უფლებას დამკვირვებლებისა და მედიის მხრიდან საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე. ეს მუხლი ამოღებული იყო. შესაძლებელი ხდება, რომ თუ დამკვირვებელი აღჭურვილი იქნა გადასაღები აპარატით, გადაიღოს დარღვევები. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ არც ერთი პრინციპული ცვლილება არ გაითვალისწინა, რაც ოპოზიციას ჰქონდა თავის დროზე, გნებავთ „რვიანის“ ფორმატში. ახლა არასამთავრობო სექტორი დეტალების გამოსწორებაზე იბრძვის, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელია. კანონმდებლობაში რევოლუციურ ცვლილებებს გაუმჯობესების თვალსაზრისით არ უნდა ველოდოთ. პრინციპებზე კენჭნაყარია და მას ხელისუფლება არ შეცვლის, მაგრამ ახლა ბრძოლა მიმდინარეობს იმაზე, რომ ეს პროცედურები მეტ–ნაკლებად უნდა დაიხვეწოს, რომ არჩევნების გაყალბების შესაძლებლობები შევამციროთ.

***– ბატონო ირაკლი, დეპუტატთა რაოდენობა არ გაიზრდება, რაც ოპოზიციის ნაწილმა ივანიშვილს დაუკავშირა. რამდენად აწყობს 73–77–ზე ხელისუფლებას?***

– ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ ცვლილებისთვის უკანონო სახე მიეცა. ასეთი საკითხები ყოველთვის პოლიტიკურ ძალთა შეთანხმების შედეგი არის. ხელისუფლება ამ ცვლილებებზე მას შემდეგ წავიდა, რაც ივანიშვილი გამოჩნდა. მათ ეშინიათ პროპორციული გზით არჩეული დეპუტატების დიდი რაოდენობის. მათ აწყობთ მაჟორიტარული არჩეული სისტემა.

***– რადგან მაჟორიტარები ყოველთვის პროსახელისუფლებოა?***

– დიახ. ის, რაც ახლა მიიღეს 73–77-ზე, არანაირი კომპრომისის შედეგი არ არის. ეს წინადადება მოლაპარაკებების მაგიდასთან, რომელიც გაზაფხულზე იმართებოდა, ხელისუფლებამ თავად წარმოადგინა. ეს მათი ერთ-ერთი ვარიანტი იყო, რასაც დათანხმდა ოპოზიციის ნაწილი.

## ნინო ბურჯანაძემ ვაცლავ ჰაველის გარდაცვალების გამო ჩეხეთის საელჩოს წარმომადგენლებს მიუსამძიმრა

ნინო ბურჯანაძემ და „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრებმა ჩეხეთის საელჩოს წარმომადგენლებს ვაცლავ ჰაველის გარდაცვალების გამო მიუსამძიმრეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „დემოკრატიული მოძრაობიდან“ აცნობეს, ნინო ბურჯანაძე და „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრები ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოსახატად, ჩეხეთის საელჩოში მივიდნენ. ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარში სამძიმარი გამოუცხადა ჩეხეთის მოსახლეობას და აღნიშნა, რომ ის პირადად იცნობდა ვაცლავ ჰაველს.

„მე მქონდა ბატონ ვაცლავ ჰაველთან რამდენჯერმე პირადად შეხვედრის ბედნიერება და მინდა აღვნიშნო, რომ ეს ადამიანი იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საკუთარი სამშობლოს თავისუფლებისათვის და დემოკრატიული ფასეულობებისათვის მებრძოლი ადამიანი. ის ნამდვილად არის მაგალითი ყველა იმ პრეზიდენტისთვის, რომელსაც უნდა, რომ დემოკრატი პრეზიდენტის სახელი ჰქონდეს, თავისი მოღვაწეობით, თავისი ბრძოლით, თავისი წასვლით ხელისუფლებიდან და იმ რეალობის შექმნით, რომელიც მან შექმნა და დატოვა საკუთარ ქვეყანაში, ზოგადად ევროპაში და მთლიანად თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში“,-განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ინტერპრესნიუსი

## პრესის გამავრცელებელ კომპანიებს უკვე სერიოზული პრობლემები შეექმნათ

ნათია ხურცილავა

პრესის გამავრცელებელი კომპანიები მძიმე რეალობის წინაშე დგანან. მათი ბიზნესი, როგორც ასეთი, გაკოტრდა, ან როგორც თავად აცხადებენ, გაკოტრების პირას არიან. მძიმე რეალობა, რომელზეც ისინი საუბრობენ, არა მხოლოდ მათ შეეხო, არამედ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ამ სფეროში იყვნენ დასაქმებული მათ მიერ.

144 საგაზეთო ჯიხურიდან თბილისში ამ დროისთვის მხოლოდ 21 ჯიხურია დარჩენილი, — ამის შესახებ „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე პრესის სადისტრიბუციო კომპანია „პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელმა, მერაბ ჩანჩალაშვილმა განაცხადა. მისივე განმარტებით, ჯიხურებიდან 42 „პლანეტა ფორტეს“, 80 „მაცნეს“, 22 კი „ელვასერვისის“ ეკუთვნოდა.

ამასთან, როგორც ჩანჩალაშვილმა აღნიშნა, ჯიხურების აღების გამო პრესის გამავრცელებლებს, საერთო ჯამში, 200-ზე მეტი თანამშრომლის შემცირება მოუხდათ. გარდა ამისა, ჩანჩალაშვილი დედაქალაქის მერიას წინადადებით მიმართავს და თხოვს, რომ რამდენიმე ლოტზე აუქციონი მხოლოდ სადისტრიბუციო კომპანიებისთვის გამოცხადდეს.

— ჩვენ ვითხოვთ მერიის პირველ პირებთან შეხვედრას. არ გვინდა რიგით თანამშრომლებთან შეხვედრები, რადგან ასეთი შეხვედრა უკვე ბევრჯერ გავმართეთ. ჩვენი მოთხოვნაა, რამდენიმე ლოტზე აუქციონი მხოლოდ გამავრცელებლებისთვის გამოცხადდეს. ეს აუცილებელია, რათა აუქციონებში მონაწილეობა არ მიიღონ ისეთმა კომპანიებმა, როგორებიც არიან „კოდა“, „ნუგეში“ და ერთმანეთის კონკურენტები მხოლოდ სადისტრიბუციო კომპანიები იყვნენ.

პრესის არც ერთ გამავრცელებელს ჯიხურში 10 და 20 ათასის გადახდა არ შეუძლია. განაცხადა „პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელმა.

კომპანია „ელვასერვისის“ ხელმძღვანელის, რამაზ თეთრუაშვილის თქმით კი, პრესის ჯიხურების აღების შემდეგ კომპანიებმა ქალაქში გაზეთების სტენდები ჩადგეს, თუმცა ამან კომპანიის ხარჯების მაჩვენებელი გაზარდა.

— ხარჯების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან, დადგა პროდუქციის დასაწყობების პრობლემა არასამუშაო საათებში. ეს აუცილებლად აისახება გამომცემლებთან ურთიერთობაში, რის გამოც, დგას საფრთხე, რომ პრესის ღირებულება გაიზარდოს, თუმცა ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, რომ ეს მოხდეს, რადგან პრესაზე ფასის მატება ისევ და ისევ მოქალაქეებს დააზარალებს, — აღნიშნა „ელვასერვისის“ ხელმძღვანელმა.

„მაცნეს“ წარმომადგენელ დალი მაჭარაშვილის თქმით კი, კომპანია გაკოტრების პირას არის და მისი გადარჩენისთვის შესაძლოა, „მაცნემ“ რამდენიმე აუქციონში მიიღოს მონაწილეობა.

— ვფიქრობთ, მივიღოთ აუქციონებში მონაწილეობა იმ ადგილებზე, რომლებზეც საგაზეთო ჯიხურები იყო განთავსებული. 20 ათასის გადახდა ნამდვილად არ შეგვიძლია, თუმცა, იქნებ რამდენიმე ლოტზე გამარჯვება მოვახერხოთ, რომ კომპანია მთლიანად არ გაკოტრდეს, — აღნიშნა დალი მაჭარაშვილმა.

მისივე თქმით, 2012 წლის იანვრიდან „მაცნეში“ მხოლოდ 30 თანამშრომელი გააგრძელებს მუშაობას, მაშინ, როცა რამდენიმე თვის წინ 150 ადამიანი ჰყავდა დასაქმებული.

პრესის გავრცელების ჯიხურების აღება მერიის პროექტ „1000 ჯიხურის“ გამო ხდება, რომლის ფარგლებშიც თბილისში ახალი სავაჭრო ჯიხურები ჩაიდგმება. როგორც მერიაში აცხადებენ, პროექტი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, თუმცა აქამდე ჩატარებულ აუქციონებში, არსებული ინფორმაციით, ძირითადად გაიმარჯვეს კომპანიებმა: „პოულტრი ჯორჯია“ (ყოფილი „კოდა“) „კუმისი“, „ნუგეში“, „იოლი“.

პრესის გამავრცელებელი კომპანიის ხელმძღვანელები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ მათი ნაწილი უკვე გაკოტრდა, ნაწილმა კი თანამშრომლების რაოდენობა 150–დან 30-მდე დაიყვანა და ყოფნა–არყოფნის ზღვარზე არიან.

რამდენად გაითვალისწინებს დედაქალაქის მერია მათ მოთხოვნებს, ჯერ უცნობია.

## გრიგოლ ვაშაძემ ჩეხ ხალხს მიუსამძიმრა

ნათია ხურცილავა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის გარდაცვალების გამო ჩეხ ხალხს მიუსამძიმრა.

ვაშაძემ ვაცლავ ჰაველს საქართველოს დიდი მეგობარი უწოდა.

ვაცლავ ჰაველმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს მხარდამჭერი განცხადება გააკეთა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ჩეხეთის საელჩოში იმყოფებოდა, სადაც ჩეხეთის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა. როგორც ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა, ქართველ ხალხს არასოდეს დაავიწყდება ვაცლავ ჰაველის ღვაწლი ევროპასა და ნატო-სთან საქართველოს დაახლოებაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის.

— დღეს სევდიანი დღეა ყველასთვის, მათ შორის — საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის. გარდაიცვალა ლიდერი, მწერალი, ჰუმანისტი, დემოკრატი, ევროპულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ადამიანი, ვინც ყოველგვარი ძალადობის გარეშე დახურა ის საშინელი თავი კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც კომუნიზმი ერქვა ევროპაში. ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირში, კერძოდ მოსკოვში, თხელ ქაღალდზე დაბეჭდილი მისი წიგნებისა და პიესების თარგმანი ჩამოდიოდა. ეს ისეთი შთაბეჭდილება იყო, უჰაერო ოთახში რომ ფანჯარა გაგეღო და ჰაერი შემოგეშვა, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი 18 დეკემბერს გარდაიცვალა.

1980-იან წლებში ჰაველმა „სამოქალაქო ფორუმი“ შექმნა, რომელიც ქვეყანაში სოციალისტური ბლოკის დაშლის წინ, მთავარ ოპოზიციურ ძალად იქცა.

1989 წელს ვაცლავ ჰაველი ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური პალატების ერთობლივ სხდომაზე პრეზიდენტად აირჩიეს. მას შემდეგ კი, რაც 1993 წელს ჩეხეთი და სლოვაკეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცნენ, ჰაველი დამოუკიდებელი ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი გახდა.

## ვლადიმერ ხომერიკი: „საქართველო დაშლის საფრთხის წინაშე დგას“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***— რამდენად შესაძლებელია, 24 დეკემბერს დაანონსებული აქცია ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ სათავე გახდეს? როგორია თქვენი მოლოდინი? როგორი იქნება ხელისუფლების ნაბიჯები ოპოზიციის წინააღმდეგ?***

— გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ რუსეთში ცხოვრობს თითქმის 150 მილიონი ადამიანი და არავინ მისცა უფლება და არავინ დაუშვებს, რომ 50 ათასიანმა ბრბომ გააუქმოს არჩევნების შედეგები, დესტაბილიზაცია მოახდინოს ქვეყანაში, მით უმეტეს, გაუშვას ამერიკის ფერადი რევოლუციების გზით. ერთი ასეთი აქცია უკვე იყო და რუსეთის მოსახლეობამ თავისი აქტიურობით აჩვენა მსოფლიოს თავისი შესაძლებლობები თვითორგანიზებისა და თავად, შიგნიდან არ დაუშვა, არ მისცა პროვოკატორებს პროვოკაციებისა და ავანტურის მოწყობის საშუალება. ვფიქრობ, მით უმეტეს, ახლა, როდესაც ყველა პარტიამ ცნო არჩევნების შედეგები და მეგობრულად იყოფენ დუმის პორტფელს, სიტუაცია არ დაიძაბება. თუმცა ვუშვებ, რომ საზღვარგარეთის აგენტები არ ისხდებიან გულხელდაკრეფილი და შეეცდებიან პროვოკაციის მოწყობას, თუმცა იციან, რომ ვერაფერს მიაღწევენ, მაგრამ ის, რომ შეუქმნან რუსეთს პრობლემა, მათაც ისე სურთ, როგორც სააკაშვილს. ასე რომ, არ გამოვრიცხავ ექსცესებს, თუმცა ვაღიარებ მათ უსაფუძვლობას და იმასაც, რომ მთავრობა მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აღკვეთოს არასწორი ქმედებები, დააპატიმროს და დასაჯოს დამნაშავეები და უზრუნველყოს რუსეთის მოსახლეობისთვის კონსტიტუციური სიმშვიდე და წყნარი ცხოვრება. პირდაპირ ვთქვათ, მე პირადად არ მინდა, რომ ამერიკის შტატები დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდეს. ასე რომ, არ უნდა დავივიწყოთ გამოთქმა — ნუ გაუთხრი სხვას ორმოს, თორემ შეიძლება ამ ორმოში თავად ჩავარდე. ასე რომ, ვთხოვ ჩემს თანამემამულეებს, ნუ ინერვიულებენ. რუსეთში ყველაფერი კარგად არის და კიდევ უფრო უკეთესად იქნება, რასაც ქართველ ხალხსაც ვუსურვებ.

***— პუტინი რუსეთის პრეზიდენტად დაბრუნებას აპირებს, სავარაუდოდ, დაბრუნდება კიდეც. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის პუტინის დაბრუნება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში? სააკაშვილის ხელისუფლებასთან პუტინი ურთიერთობებს ოდესმე აღადგენს თუ გამორიცხულია?***

— პუტინი ნამდვილად გახდება ძალიან მალე რუსეთის პრეზიდენტი, თუმცა ის არც წასულა ხელისუფლებიდან. დღევანდელ რუსეთში პუტინს ალტერნატივა არ აქვს და ეს კარგიცაა. ეს ის ადამიანია, რომელმაც რუსეთი გადაარჩინა დაშლას, აღადგინა მისი ეკონომიკა და ა.შ. დარწმუნებული ვარ, სანამ სააკაშვილი იქნება ხელისუფლების სათავეში, პუტინი არანაირ პოზიტიურ ნაბიჯს არ გადადგამს, არ აღადგენს ურთიერთობებს მის რეჟიმთან. მაგრამ ვფიქრობ, სააკაშვილის დღები დათვლილია, ის ძალიან მალე გაიქცევა ამერიკაში და როდესაც საქართველოში ეროვნული ხელისუფლება მოვა, რომელიც მიხვდება, რომ რუსეთთან უნდა ჰქონდეს მეგობრული და მეზობლური ურთიერთობები, ამ შემთხვევაში, პუტინი ხელს შეუწყობს, რომ შეიქმნას ერთიანი ქართული სახელმწიფო.

***— გასაგებია... პატრუშევის განცხადებზე რას იტყვით, მან საქართველო ტერორისტების მომზადებაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა. რას ნიშნავს პატრუშევის ეს განცხადება? შესაძლოა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბოს?***

— როგორც არ უნდა მინდოდეს მწარე სიმართლის დამალვა, რაც პატრუშევმა თქვა, ვფიქრობ, სიმართლეა.

***— ვერ დაგეთანხმებით... ეს მძიმე ბრალდებაა...***

— დიდი მწუხარების მიუხედავად, არ შემიძლია გადაჭრით ამ გამონათქვამების უარყოფა. პატრუშევის ეს განცხადება ამბობს იმას, რომ რუსეთის მოთმინება უსაზღვრო არ არის. ტერორიზმთან თამაში არ შეიძლება. ეს არ არის უცხო და ყველა მომენტში შეიძლება იფეთქოს ყველგან, მით უმეტეს, ევროპას და ამერიკას აქვს მწარე გამოცდილება ტერორიზმის. სიმართლე ითქვას, რუსეთი ბევრს ითმენდა, ჩუმად იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ახლა აქვს ყველა ფაქტი, საფუძველი და მტკიცებულება, რადგან განაცხადა პატრუშევმა ამის თაობაზე. ვფიქრობ, ეს ჩვენს საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. ჩვენ მშვენივრად ვიცით, როგორ იბრძვის ამერიკა ტერორიზმის წინააღმდეგ და ღმერთმა არ ქნას, რომ რუსეთმა აიღოს მისგან მაგალითი. ასე რომ, ქართველი ხალხი უნდა იყოს ყურადღებით და არ მისცეს სააკაშვილს უფლება, ჩაითრიოს ისინი ახალ კატასტროფაში, სადაც უკვე ძნელი იქნება იმის თქმა, რომ რუსეთი შეჩერდება, მოიქცევა ისე, როგორც 2008 წელს. უნდა გვესმოდეს, რომ ყველა მოთმინებას აქვს საზღვარი და ბოლო და არ უნდა გაუკეთო პროვოკაცია დიდ და ძლიერ მეზობელს. ხალხმა უნდა აიძულოს სააკაშვილი, სერიოზულად დაფიქრდეს თავის ნაბიჯებზე, რომელიც მიდის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ და შეიძლება იყოს საქართველოსთვის უკიდურესად დამღუპველი.

***— რას გულისხმობთ?***

— საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და რეალურ ოკუპაციას, არა ისეთს, რითაც ის ვაჭრობს, იღებს გრანტებს, კრედიტებს, ვალებს, რომლებმაც საქართველო დეფოლტის ორმოში ჩასვა უკვე. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია ურთიერთობების გამწვავება საქართველოსა და რუსეთს შორის, რადგან სააკაშვილი 24 საათი ცდილობს რუსეთის პროვოცირებას და გაბრაზებას. მოვუწოდებ სააკაშვილს, შეჩერდეს, დაფიქრდეს საქართველოს ბედზე, ეკონომიკის რეალურ განვითარებაზე და რუსეთთან მეზობლური ურთიერთობების აღდგენაზე. მე ვწუხვარ ჩემი ქვეყნის ბედზე, რომელიც ამ ხელისუფლების გამო დაშლის საფრთხის წინაშე დგას.

## „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კახეთში ოფისების დაქირავებას ვერ ახერხებენ

ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კახეთში რაიონული ფილიალებისთვის ოფისების დაქირავებას ვერ ახერხებენ, — ამ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისზე დაყრდნობით კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.

უფლებადაცვითი ორგანიზაციის ინფორმაციით, კერძო პირები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ოფისების მიქირავებაზე უარს ზეწოლის გამო ეუბნებიან.

„კერძო მესაკუთრეებზე ზეწოლას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლები ახორციელებენ. მათ ნარკოტიკების ან იარაღის აღმოჩენით და დაპატიმრებით ემუქრებიან. ჩვენი ინფორმაციით, ამ საკითხს შს მინისტრის მოადგილის გია ლორთქიფანიძის ძმა დავით ლორთქიფანიძე კურირებს“, — აღნიშნეს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის ოფისში გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე პოლიტიკური ნიშნით ადამიანებზე ზეწოლის და დევნის ფაქტებზე საუბრობდნენ.

მედიანიუსი

## დიმიტრი გვინდაძე: საქართველოში ბიზნესსაქმიანობისათვის ყველა პირობა არსებობს



საქართველოს ფინანსთა მინისტრ დიმიტრი გვინდაძის განცხადებით, საქართველოში ბიზნესსაქმიანობისათვის ყველა პირობა არსებობს. მან ეს განცხადება პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესა და ბიზნესსაბჭოს გაფართოებულ შემადგენლობასთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა. მისი თქმით, შეხვედრის მონაწილეებმა 2012 წლის საბიუჯეტო პოლიტიკასა და საშუალო ვადის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე ისაუბრეს, რომელიც დღეს ქვეყანაში არსებობს.

მინისტრის თქმით, ბიზნესმენებს ინფორმაცია იმ რეფორმებზეც გააცნეს, რომელიც საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გამარტივებისათვის ტარდება.

„ჩვენ დავარწმუნეთ ბიზნესმენები, რომ დღეს საქართველოში არსებობს ყველა წინაპირობა ბიზნესის გასაკეთებლად“, --აღნიშნა დიმიტრი გვინდაძემ.

ცნობისათვის: დღევანდელ შეხვედრაზე დიმიტრი გვინდაძემ და დავით ბაქრაძემ ბიზნესმენებს 2012 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაცია გააცნეს.

მედიანიუსი

## სტუდენტთა დამოუკიდებელმა ასოციაციამ პრეზიდენტს „სასაჩუქრე“ წერილი შეუგზავნა

სტუდენტთა დამოუკიდებელი ასოციაციის წევრებმა პრეზიდენტის სასახლესთან სიმბოლური საპროტესტო აქცია გამართეს და მიხეილ სააკაშვილს დაბადების დღე ამ ფორმით „მიულოცეს“. დაახლოებით 10-მა სტუდენტმა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიხეილ სააკაშვილის სახელზე სასაჩუქრე წერილიც დატოვეს, სადაც ის პრობლემები ჩამოწერეს, რომელიც, მათი თქმით, დღეისათვის ქართველ სტუდენტებს აწუხებთ.

„ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ერთ-ერთი საზრუნავი ჩვენზე, სტუდენტებზე ზრუნვაა. თქვენ სამწუხაროდ არ ფლობთ რეალურ ინფორმაციას, თუ რა გაუსაძლის მდგომარეობაში გვიწევს სწავლა და შეგნებულად ხელს უწყობთ ამ ყველაფერს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების პრობლემები: განსხვავებული აზრის დევნა, სწავლის მაღალი გადასახადი, სტუდენტების დაყოფა პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ სტუდენტებად, უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაუმჭვირვალობა, სტიპენდიების გაცემის არასამართლიანი წესი, არ ხდება სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფების ხელის შეწყობა, ადმინისტრაციის მხრიდან ანგარიშვალდებულებების არარსებობა, სახელმწიფო უნივერსიტეტები არ ეკუთვნის სტუდენტებს, სტუდენტების დაუსაქმებლობა, უნივერსიტეტები არ არის ავტონომიური“, — ნათქვამია წერილში, რომელიც დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციამ პრეზიდენტისათვის დაბადების დღის მისალოცად ადმინისტრაციაში შეგზავნა.

მედიანიუსი

# ეროვნული მუზეუმი საჯარო ლექციებს იწყებს

## მრავალფეროვანი სახვითი ხელოვნება საჯაროა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი საჯარო ლექციებს იწყებს. 22 დეკემბერს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში წარმოდგენილი იქნება საჯარო ლექციები – გივი ბოლქვაძე „იბერიის სამეფო კარზე დინასტიური განხეთქილებისა და ქართულ-რომაული წყაროების ვერიფიკაციის საკითხისათვის“; თემურ კენკებაშვილი „თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში“.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი საჯარო ლექციების პარალელურად, სახვითი ხელოვნების მოყვარულებს სხვადასხვა ექსპოზიციებითაც ანებივრებს. თბილისის ისტორიის მუზეუმში საქართველოში დაბადებული გერმანელი მხატვრის თინა ჰაინეს მიერ შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების, მაკეტების, სპექტაკლების ესკიზების ერთობლიობით შედგენილი გამოფენაც გაიხსნა.

– მხატვარი წლების განმავლობაში მუშაობდა თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრის, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, კინომსახიობთა თეატრის ცნობილი სპექტაკლების ,,ესმერალდა“, ,,ჯადოსნური ფლეიტა“, ,,ზაფხულის ღამის სიზმარი“, ,,სამოთხის ჩიტი“ მხატვრული გამფორმებელია. მხატვარს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ გამოფენაში. მისი ნამუშევრები ინახება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, კულტურის სამინისტროს ფონდში, საქართველოს, რუსეთის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში, – განუცხადა „ახალ თაობას“ ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

პროექტი წარმოაჩენს თინა ჰაინეს თეატრალურ და ფერწერულ პოეტურ სტილს, რომელიც გამორჩეულად შეიცნობა როგორც თეატრალურ კულტურაში, ასევე მის მიერ შექმნილ გრაფიკაში და ფერწერულ ნამუშევრებში.

თბილისის ისტორიის მუზეუმია გამოფენილი თენგიზ ჭოლოკავას ნამუშევრები. ექსპოზიციაზეა ახალგაზრდა მხატვრის ფერწერული ტილოები, რომლებიც ამაღლებული



და პოეტური მიმართულებით მოაზროვნე ხელოვანის შექმნილია. საერთო საწყისი ყოველ ამ ნამუშევარში ექსპრესიული და თბილია – პანორამები, ადამიანების, ფრინველების და ცხოველების სამყარო, იმპრესიონისტული კომპოზიციიდან, ნატურმორტის ორიგინალურ, სამკუთხედის ფორმაში მოთავსებულ სერიამდე, თენგიზ ჭოლოკავას ცვალებად განწყობას მისდევს ფეხდაფეხ. ნამუშევრები სხვადასხვა პერიოდშია შექმნილი. ცხოველთა სამყარო, პორტრეტები, იმპრესიონისტული სერიები მხატვრის მეორე პერსონალურ გამოფენას წარმოადგენს. მისი პირველი გამოფენა გასულ წელს შედგა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და თავიდანვე მიიპყრო დამთვალიერებლის ყურადღება.

– თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო სივრცე ტრადიციულად უწყობს ხელს ახალგაზრდა შემოქმედთა მხატვრული სისავსის წარმოჩენას, რაც თენგიზ ჭოლოკავას პერსონალური გამოფენის მაგალითზე აისახა, – აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის (ცენტრი) ინიციატივით, აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩები და აზერბაიჯანული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ნივთები გამოიფინა.

– მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის (ცენტრი) თანამშრომელთა მიერ, ქვემო ქართლის რეგიონში მოძიებულ იქნენ მქსოველი ქალები, რომლებმაც დღემდე შემოინახეს აზერბაიჯანული ხალიჩების ხელით ქსოვის კულტურა და ტექნოლოგია. ცენტრის მიზანი აზერბაიჯანული ტრადიციული უნიკალური ხელით ნაქსოვი ხალიჩების საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ პოპულარიზაციაა, – აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა თანამედროვე ხელოვანთა გამოფენა სახელწოდებით „შავ-თეთრი“ („დღისა და ღამის ზღვარზე“). გამოფენამ გააერთიანა 9 მხატვრის – ქეთი დავლიანიძის, ალექსანდრე ანთაძის, ირაკლი წულაძის, თიკა ჩხიკვიშვილის, თუთუ კილაძის, მაკა ბატიაშვილის, ნინო მოსეშვილის, მაკა ჯებირაშვილისა და ანტონ ბალანჩივაძის 60-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში კი გაიხსნა ექსპოზიცია სახელწოდებით „სამი მეგობარი“.

– გამოფენამ „სამი მეგობარი“ გააერთიანა სამი ხელოვანის – ოთარ ვეფხვაძის (კერამიკა), ივარს ბუმბიერეს (მხატვრობა) და პეტერის მარტინსონის (კერამიკა) ხელოვნების ნიმუშები. აღნიშნულმა გამოფენამ გამოხატა მათი ნამუშევრების მიმართ ჟესტი და სიყვარული ორი შესანიშნავი ქვეყნის – ლატვიისა და საქართველოსი, რომელიც მათი მეგობრობისა და პატივსაცემის ნიშნად დაიგეგმა. მთლიანობაში ექსპოზიციისთვის 90-მდე კერამიკული და ფერწერული ნამუშევარი შეირჩა. სიმბოლურია, რომ გამოფენის ორგანიზატორობა ლატვიის საელჩომ საქართველოში და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ითავეს, – განმარტა ანა ვერულაშვილმა.

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის (იფა) გამოფენა „სიგმარ პოლკე-გაურკვეველი წარმომავლობის მუსიკა“, რომელიც წარმოადგინა გოეთეს ინსტიტუტმა საქართველოში საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით.

ექსპოზიციაზე მისული მაყურებლისთვის გამოიფინა სიგმარ პოლკეს მიერ 1996 წელს სპეციალურად იფა-თვის შექმნილი 40 გუაში.

– სიგმარ პოლკე თავისი შემოქმედებით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თანამედროვე ხელოვნებაში. ის გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მხატვრობის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული სიგმარ პოლკე თავისი ექსპერიმენტებით აღსავსე შემოქმედებაში სხვადასხვა ტექნიკებსა და ტექნოლოგიებს იყენებს. პოლკეს ნამუშევრები გაჯერებულია ნაირფერი ირონიული „ციტატებით“ – კომიქსებისა და საგაზეთო სურათების მსგავსი გამოსახულებებით, ისე როგორც პოპ-არტის მაგვარი ფრაგმენტებით. ზიგმარ პოლკე თავის სახელოსნოში და ფოტოლაბორატორიაში ყველანაირი მასალისა და მეთოდების გამოყენებით მუშაობდა. მის ნამუშევრებს ხშირად თან ახლავს მახვილგონივრული და ამავე დროს აბსურდული წარწერები, როგორიცაა: „იმისათვის რომ კიტრი მალე არ გაფუჭდეს, ის უნდა გადაიღებოს მისადმი წინასწარი მადლიერებით“ ან „ძილი სილამაზის გადასარევი საწინდარია, რომელიც ადამიანებსა და ცხოველებს ტყიდან აქვთ გამოყოლილი.“ თბილისში ჩამოტანილი გუაშები ამ საღებავის თვისებებიდან (დაღვრა და დაწვეთება) გამომდინარე შედევრებია, რომლებშიდაც ხელოვანი დაღვრილი ან დაწვეთებული საღებავის წინასწარ გაურკვეველ მიმდინარეობას მკაცრად მოწესრიგებულ სისტემას უპირისპირებს, – განაცხადა გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელმა ნათია მიქელაძემ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში იუბილარი ხელოვანის ედმონდ (გაბრიელ) კალანდაძის ნამუშევრების გამოფენაც გაიხსნა.

– ედმონდ კალანდაძე ახალი ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტობიდან, 1940-იანი წლების ბოლოდან, კალანდაძე, განსაკუთრებული ტალანტითა და აქტიურობით გამოირჩეოდა. ამ პერიოდის ქართველ მხატვართა მოღვაწეობამ მთელ საბჭოთა სივრცეში ერთგვარი პოლიტიკურ-კულტურული მოვლენის სტატუსი შეიძინა. კალანდაძის შემოქმედებაში მკაფიოდ აისახა ეპოქის საერთო კულტურული ტენდენციები, როგორც ფორმალურ-სტილისტური, ასევე იდეურ-მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით. ამ მხატვრის თითოეული ნამუშევარი სამყაროს მოდელის შექმნისა და მისდამი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის აქტიური მცდელობაა. ყოველი ფერწერული ტილო წარმოგვიდგება მხატვრის მიერ შექმნილი და ჩვენთვის შემოთავაზებული მიკროსამყაროს სახით, რომელშიც ედმონდ კალანდაძისეული სამყაროს აღქმის, მისი ინტერპრეტაციისა და რეალიზების ინდივიდუალური მხატვრული მეთოდის სახით წარმოჩინდება. მის შემოქმედებაში დიდ როლს თამაშობს გრძნობა, ინტუიცია, ფერადოვანი ხედვა, ამასთანავე, მას სრულად აქვს გააზრებული სამყაროს მთელი მრავალფეროვნება და მისი ფერადოვანი, ფორმისმიერი თუ განწყობითი ნიუანსები. გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს საშუალება მიეცა დაეთვალიერებინა ედმონდ კალანდაძის სახელოსნოსა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციებში დაცული მხატვრის 60-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, – განაცხადა ანა ვერულაშვილმა.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა კულტურული ღონისძიებები თბილისიდან სიღნაღში გადაიტანა. სიღნაღის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „საქართველოთი მონუსხული“, რომელზეც წარმოდგენილი იყო ჯონ უერდმანის (ამერიკა), ილია იაჩენკოსა (რუსეთი) და ივან კუგაჩის (უკრაინა) 60-მდე რეალისტურ-იმპრესიონისტული ფერწერული ნამუშევარი – პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი.

– გამოფენა სანახაობრივად საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოვიდა, რადგან დამთვალიერებელს საშუალება მიეცა გაცნობოდა სამი სხვადასხვა ეროვნების ხელოვანის თვალით დანახულ საქართველოს. გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ ჯონ უერდმანი და ილია იაჩენკო. ექსპოზიცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის მუზეუმში 6 კვირის განმავლობაში დარჩა, – განმარტეს ეროვნულ მუზეუმში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც რომის ტრაიანეს არქეოლოგიურ მუზეუმში უძველესი ქართული სამკაულებისა და ბრინჯაოს მანუფაქტების გამოფენა აღმოჩნდა. ექსპოზიცია 186 ნივთისგან შედგებოდა, მათი უმრავლესობა კი პირველად იქნა წარმოჩენილი უცხოეთის საგამოფენო სივრცეში. ზოგიერთი მათგანი 5.000 წლისაა. უნიკალური ქართული საგანძურის გამოფენის პარალელურად, იტალიის ქალაქებში რომში, ფლორენციასა და ბარიში ანსამბლმა „რუსთავი“ სოლო კონცერტები გამართა. სამთვიან გამოფენას სავარაუდოდ ნახევარი მილიონი ადამიანი დაათვალიერებს.

ქართული საგანძურის გამოფენა იტალიაში 2012 წლის 15 თებერვალს დაიხურება. იტალიაში საქართველოს საელჩო იტალიის საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროებთან ერთად 2011-2012 წლებში კულტურის ბიენალე „აბრეშუმის გზის“ ორგანიზებაზე უკვე მუშაობს.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

**SMS-განცხადებები - 3090**

სასწრაფოდ იყიდება 2 სართულიანი კომფორტული სახლი ცენტრალური გათბობით,ბუხრით, დიდი ეზოთი და აუზით თემქის უნივერსამთან .ფასი 145 000. 2 60-31-66, 552-02-22-05

**განცხადებები**

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

## ინგლისური ამბები

„ლივერპულის“ თავდამსხმელი ლუის სუარესი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველ პატრის ევრას მისამართით გამოყენებული რასისტული გამონათქვამების გამო რვამატჩიანი დისკვალიფიკაციით და 40 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს.

შეგახსენებთ, 15 ოქტომბერს გამართული ინგლისის პრემიერლიგის მე-8 ტურის მატჩის შემდეგ, ევრამ განაცხადა, რომ სუარესმა მისი მისამართით რასისტული გამონათქვამები გამოიყენა.

ვიდეოჩანაწერის შესწავლის შემდეგ, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ დაადგინა, რომ სუარესი მატჩის დროს არაკორექტულ გამონათქვამებს იყენებდა, რომლებიც „გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ან რასის კუთვნილებაზე მიუთითებდა“.

ინგლისური მედიასაშუალებები ვარაუდობენ, რომ კლუბის ინდოელი მფლობელები პოსტიდან დაითხოვენ „ბლექბერნის“ თავკაც სტივ კინს. მას ბოლო შანსი სამშაბათის მატჩში მიეცეს, რომელშიც ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „როვერსი“ კიდევ უფრო მაჩანჩალა „ბოლტონს“ მასპინძლობდა და 1:2 დამარცხდა.

ბრიტანელ ჟურნალისტთა მტკიცებით, „ბლექბერნიდან“ კინის წასვლის შემთხვევაში, მის ადგილს ახლო წარსულში ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი, 41 წლის ალან შირერი დაიკავებს. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელის პოსტზე შირერის პირველი და ჯერჯერობით, უკანასკნელი სამუშაო ადგილი „ნიუკასლი“ იყო. „ბლექბერნთან“ მის ძველ კავშირს რაც შეეხება, 1992-1996 წლებში შირერმა ამ გუნდის მაისური 138-ჯერ მოირგო და 112 გოლი გაიტანა.

ლონდონის „ჩელსი“იანვარში ლივერპულის „ევერტონისთვის“ 20 წლის ნახევარმცველ ჯეკ როდუელის შეძენასთან დაკავშირებით ოფიციალურ წინადადებას ამზადებს და მზად არის იმდენივე მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს, რამდენი წლისაც ფეხბურთელია.

აღსანიშნავია, რომ როდუელის ხელში ჩასაგდებად ლონდონელებს მეორე ინგლისური გრანდისთვის, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ მოუწევს კონკურენციის გაწევა. მიუხედავად ასაკისა, როდუელი „ევერტონის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად 2008 წლიდან მიიჩნევა, მიმდინარე სეზონში კი, პრემიერლიგაში 10 შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

„ევერტონის“ ფეხბურთელების მიმართ „ჩელსის“ ინტერესი ამით არ შემოიფარგლება. „არისტოკრატებს“ მათი კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელის, 18 წლის ნახევარმცველის როს ბარკლის შეძენაც სურთ.

თავის მხრივ „ევერტონმა“ თვალი „ლოს ანჯელეს გელექსის“ მცველ ომარ გონსალესს დაადგა, რომელიც გასულ სეზონში აშშ-ს მლს-ის საუკეთესო უკანახაზელად დაასახელეს.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, 23 წლის ამერიკელ ფეხბურთელს შეთავაზება საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის კლუბებიდან აქვს, მაგრამ მის მიმართ ყველაზე დიდ ინტერესს „ევერტონი“ იჩენს.

მიმდინარე წელს, გონსალესმა მლს-ის რეგულარულ სეზონში 29 თამაში ჩაატარა და პლეი ოფის ოთხ შეხვედრაში ითამაშა. მან 2 გოლი გაიტანა და გუნდთან ერთად ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელის, დიმიტარ ბერბატოვის მომავალი კვლავაც გაურკვეველია. ბულგარელს ინგლისურ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში ეწურება, მხარეები კი, მის გახანგრძლივებას არ ჩქარობენ.

არადა, ფეხბურთელის კონტრაქტში დევს პუნქტი, რომლის ძალითაც, „წითელი ეშმაკების“ ხელმძღვანელებს ხელშეკრულების გაგრძელება წლით შეუძლიათ. კლუბი ბულგარელს თავის გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში შეატყობინებს.

# ხუან რომან რიკელმე: „ადამიანი, ვინც ფეხბურთი მოიგონა, ყველაზე დიდი გმირია“

33 წლის ხუან რომან რიკელმე წელს არგენტინის ჩემპიონატი მოიგო და მისი კარიერის დასასრულს საკუთარ თავს კარგი საჩუქარი გაუკეთა. მართალია, ფეხბურთელი ჯერ წასვლას არ ჩქარობს, მაგრამ ასაკი ალბათ თავისას იზამს. თუმცა მისი მსგავსი შემოქმედებითი ნახევამცველი იშვიათობაა.



რიკელმეს ინტერვიუ ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— უკვე 15 წელიწადი გავიდა, რაც ფეხბურთს თამაშობთ. როცა კარიერას იწყებდით, როგორ წარმოგედგინათ თქვენი მომავალი?***

— ვოცნებობდი „ბოკას“ მაისურზე, „ბომბონერაზე“ თამაშზე, რადგან მთელი ოჯახი ამ კლუბს ვგულშემატკივრობდით. ოცნება ამიხდა და თანაც როგორ.

***— ახალგაზრდობაში ვის ბაძავდით, ვინ იყო თქვენი კუმირი?***

— მარადონას ეპოქაში გავიზარდე, თითოეული არგენტინელისთვის დიეგო უდიდესი ფეხბურთელია. რამდენჯერ წარმომიდგენია, ქუჩაში თამაშისას, თითქოს, მარადონა ვარ. ბურთს მივიღებდი და ვამბობდი — ბურთით მარადონაა. ახლა ჩემი ბიჭი თამაშისას გაიძახის — ბურთით მესია — ლეო მესი ახალი თაობის გმირია, ჩვენი მარადონა იყო.

***— ამოარჩიეთ თქვენი კარიერის ორი მომენტი — ერთი პოზიტიური, მეორე — ნეგატიური.***

— ძალიან ძნელია ერთის არჩევა. უარყოფითი ალბათ 2006 წლის ლიგის ნახევარფინალი იყო, როდესაც „ვილიარეალში“ თამაშისას „არსენალთან“ წავაგეთ. ძალიან, ძალიან გვინდოდა ფინალში გასვლა, რადგან ვიცოდით, რომ „ვილიარეალს“ ამის შანსი ალბათ აღარასოდეს მიეცემოდა.

***— თქვენ იმ თამაშში გადამწყვეტი პენალტი გააცუდეთ, თუ ნახეთ შეხვედრა გამეორებით?***

— დიახ, ვუყურე. საერთოდ, ყველა თამაშს ვნახულობ გამონაკლისის გარდა. ახლაც ვფიქრობ, რომ გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით, მაშინ „არსენალზე“ უკეთესი გუნდი ვიყავით, მაგრამ თუ ფეხბურთში ფორტუნამ ზურგი გაქცია, მორჩა ყველაფერი.

***— ამ მატჩიდან მალევე გერმანიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშეთ.***

— ეს ჩემს კარიერაში პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. ბევრი ამბობს, რომ ჩვენ ტურნირის იმედგაცრუება ვიყავით, მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, რომ ისე გავვარდით, მატჩი არ წაგვიგია. მე კი მიმაჩნია, რომ საუკეთესო ფეხბურთს ვთამაშობდით, პირადად ყველაზე მეტი საგოლე პასი მივითვალე.

***— დავუბრუნდეთ მასპინძლებთან მეოთხედფინალში მარცხს.***

— თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით, ასე არ იყო? თითქოს არგენტინას უნდა გაეტანა მეორე და არა გერმანიას საპასუხო. ბურთი შორეულ ძელთან მიროსლავ კლოზეს მიუვიდა, ის კი თავით უკეთ თამაშობს, ვიდრე — ფეხით. პენალტების სერია იღბლის თამაშია, მეტოქის მეკარეს კარგი დღე ჰქონდა, სულ ეს არის.

***— სხვათა შორის, მაშინაც კარში იენს ლემანი იდგა, რომელსაც თქვენ „არსენალის“ კარში პენალტს ვერ გაუტანეთ.***

— მსოფლიოს ჩემპიონატზე რევანშის შანსი არ მქონდა, პენალტების სერიამდე შემცვალეს.

***— ყველას დაამახსოვრდა პენალტების ის სერია წერილით, რომელიც ლემანმა მიიღო.***

— კი, მაგრამ ფურცელზე არაფერი ეწერა.

***— მართლა?***

— დიახ, ეს იყო ტაქტიკური სვლა, დროის გაყვანის და ჩვენი პენალტისტების ანერვიულების. მაგალითად, ესტებან კამბიასომ შუაში და მაღლა დაარტყა, ცხოვრებაში არ მინახავს მას ასე დაერტყას პენალტი, თუნდაც ვარჯიშზე. თუმცა, თქმა არ უნდა, ლემანმა მაშინ იყოჩაღა.

***— რას აკეთებთ მოედნის მიღმა, უყურებთ თუ არა ფეხბურთს?***

— ყველაფერს ვუყურებ. არგენტინის ჩემპიონატის მატჩებს, ევროპულ ფეხბურთს, სანაკრებო მატჩებს.

***— არის თუ არა გუნდი, რომლის თამაშების ნახვა ყველაზე მეტად მოგწონთ?***

— ყველას მოგვწონს „ბარსელონას“ თამაშების ყურება. მათ გუნდში ერთდროულად მოიყარეს თავი მესიმ, ინიესტამ, ხავიმ, პიკემ... ყველა ერთ გუნდში, ერთ დროს — ეს ნამდვილი ბედნიერებაა.

***— ასეთი გუნდის დამარცხების რეცეპტი თუ გაქვთ?***

— მათი დამარცხება ძალიან ძნელია. ორმატჩიან რაუნდში კიდევ შეიძლება ბედმა გაგიღიმოს, მაგრამ ჩემპიონატებში მათი დამარცხება შეუძლებელია. ერთი გამონაკლისი ვიცი, მწვრთნელი ლუის გარსია, რომელმაც შარშან ქულები დააკარგვინა კატალონიელებს „ლევანტესთან“ ერთად, ახლა კი „ხეტაფეთი“ სულაც მოუგო. „ბარსა“ და „რეალი“ ორი განსხვავებული სტილის გრანდია, ისინი ძალიან უსწრებენ დანარჩენებს.

***— „ბარსას“ თამაშს რომ უყურებთ, ალბათ, გული გწყდებათ, რომ იქ ცუდ დროს გადახვედით?***

— მაშინ კლუბში არჩევნები იყო, იყო ბევრი შიდა პრობლემა, დაძაბულობა. მაგრამ ახლა იქ ვარ, სადაც ყველაზე მეტად მინდა ყოფნა — „ბოკა“ ჩემი სახლია.

***— რას იტყვით როგორც „ბოკა ხუნიორსის“ ფეხბურთელი „რივერ პლეიტის“ ჩავარდნაზე?***

— რა თქმა უნდა, ჩვენ ბედნიერები ვიყავით, რომ ტიტული მოვიგეთ, მაგრამ ძალიან ცუდია, რომ „რივერი“ გავარდა. ეს იგივეა, რომ ესპანეთში „ბარსა“ ან „რეალი“ გავარდეს. წარმოიდგინეთ, რამხელა ტრაგედიაა. ვიმედოვნებ, „რივერი“ მალე დაბრუნდება — მათთან თამაში მომენატრა.

***— ახლანდელი ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ?***

— მესი საუკეთესოა, ყველას სჯობს. კრიშტიანო რონალდო კი „სონი პლეისტეიშენის“ იდეალურ „ფეხბურთელს“ ჰგავს — ის ორივე ფეხით დიდებულად ურტყამს, სწრაფია, დიდებულია საჰაერო ორთაბრძოლებში, პენალტები და ჯარიმები გააქვს, ყველაფერი შეუძლია. მაგრამ იმას, რასაც მე ფეხბურთს ვეძახი, საუკეთესოდ ინიესტა თამაშობს — მან ყველაფერი იცის, როდის წავიდეს წინ, როდის მისცეს პასი, როდის მოატყუოს, დააგდოს ან მოუმატოს ტემპს. ეს ყველაფერი ვარჯიშით არ მოდის, ის უბრალოდ ან გაქვს ან — არა. შეიძლება ისწავლო, როგორ დაარტყა, ან როგორ ფლობდე ბურთს, მაგრამ იცოდე ყველაფერი რა შეიძლება მოხდეს მოედანზე, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

***— ინიესტაც ხშირად გაქებთ.***

— მე რომ „ბარსელონაში“ გადავედი, ის ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა. ჩვენთან ვარჯიში დაიწყო და ამ ბიჭის ფანი გავხდი. ერთად ბევრ დროს ვატარებდით, ახლაც ვეხმიანებით ხოლმე ერთმანეთს.

***— ამას წინათ განაცხადეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იმიტომ გსურთ, რომ ეს შვილმა გთხოვათ.***

— ის 9 წლისაა, ფეხბურთი ესმის და იცის, რომ მომავალი მუნდიალი ბრაზილიაშია. ძალიან მინდა მუნდიალზე მოვხდე, ცდას არ დავაკლებ. ბრაზილიაში ყველა ვარიანტში მოვხდები, თუ ფეხბურთელად არა, მაშინ არგენტინის ნაკრების ერთ, რიგით ფანად.

***— გავიგეთ, რომ მეტოქე ფეხბურთელების მაისურების კოლექცია გაქვთ, რომელია ყველაზე დიდი შენაძენი?***

— უზარმაზარი კოლექცია მაქვს და დიდად ვუფრთხილდები, მაგრამ არჩევნის წინაშე რომ დამაყენონ, ზინედინ ზიდანის მაისურს შევინარჩუნებ, სხვებს კი დავთმობ. უნიკალური მაისურია, ზიდანს ამის შემდეგ მადრიდში „რეალის“ მაისურით აღარ უთამაშია. წინა დღით დამირეკა და მითხრა, რომ ჩემი მაისურა არა აქვს. მაშინვე შევთანხმდით, რომ მატჩის შემდეგ გავცვლიდით. იმ თამაშში ზინედინი 5 წუთით ადრე გამოცვალეს, რომ ფანებს ოვაცია მოეწყოთ. ის კი იდგა და მელოდა, რომ პირობა შეესრულებინა. დიდებული მომენტი იყო და დიდებული ფეხბურთელი.

***— დაბოლოს, რამდენად მნიშვნელოვანია ფეხბურთი თქვენ ცხოვრებაში?***

***— ფეხბურთი ჩემი ყველაფერია! მე მიყვარს ფეხბურთი ისევე, როგორც პატარა გოგონას — საყვარელი თოჯინა. ადამიანი, ვინც ფეხბურთი მოიგონა ყველაზე დიდი გმირია.***

## ზესტაფონი ივსება, ქუთაისი — იცლება

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში“ მატებაა — მარგველთა რიგებს 22 წლის ლევან შარიქაძე და 17 წლის გურამ სამუშია შეუერთდნენ. სათამაშო ამპლუას მიხედვით ორივე ნახევარმცველია და თავის ახალი კლუბის ღირსებას მომდევნო 3 წლის მანძილზე დაიცავენ.

ლევან შარიქაძე საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან“ კონტრაქტის გაფორმებამდე ასპარეზობდა თბილისის „ამერში“ (2006-2008) და საფეხბურთო კლუბ „გაგრაში“ (2008-2011).

გურამ სამუშია საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან“ კონტრაქტის გაფორმებამდე ასპარეზობდა შემდეგ საფეხბურთო კლუბებში — „მგლები“ (2007-09), „ბაია“ — (2009-11).

გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი წარმატებულად მშობლიურ კლუბ „ბაიაში“ თამაშობდა, გურამ სამუშია 17-წლამდელთა საქართველოს ნაკრები გუნდის უცვლელი წევრი გახლავთ.

მომდევნო 3 წლის მანძილზე ითამაშებს „ზესტაფონში“ დავით რაჟამაშვილიც, რომელიც იმერულ კლუბს გორის „დილადან“ შუერთდა.

— სამწლიან კონტრაქტს უკვე მოვაწერე ხელი. ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას დავტოვებ „დილას“, — აცხადებს ფეხბურთელი.

თუ „ზესტაფონში“ მატებაა, მეორე იმერულ კლუბ ქუთაისის „ტორპედოს“ ერთბაშად 4 ფეხბურთელი დატოვებს. რიონისპირული კლუბის მწვრთნელმა საჭიროდ არ მიიჩნია გია მეგრელაძის, თენგიზ ჩიკვილაძის, თემურაზ ფარულავასა და დავით კირკიტაძის დახმარება.

რაც შეეხება რუსთავის „მეტალურგს“ აქ ჯერ მხოლოდ ერთი მცირე ინფორმაციაა. გუნდი შესაძლოა დატოვო კაპიტანმა ალექსანდრე კვახაძემ და კარიერა უკრაინაში გააგრძელოს. უკრაინაში თამაში ერთია და ამის გარდა კვახაძე იმითიც ყოფილა უკმაყოფილო, რომ ბოლო დროს შემადგენლობაში ვერ ხვდება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## სადისციპლინო კომიტეტმა თბილისის „დინამო“ დასაჯა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის დასრულების შემდეგ, სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი შეიკრიბა.

კომიტეტმა განიხილა საფეხბურთო კლუბ „დინამო“ თბილისის მთავარი მწვრთნელის — ალექს გარსიას მიერ სატელევიზიო ეთერით გაკეთებული განცხადება და კლუბს ფულადი სასჯელი დააკისრა.

სადისციპლინო კომიტეტის დასკვნა და შესაბამისი წერილი გადაეგზავნა საფეხბურთო კლუბის დირექტორატს. წერილში სიტყვასიტყვით ნათქვამია:

„დინამო“ თბილისის დირექტორს ზურაბ პოლოლიკაშვილს!

ბატონო ზურაბ, ა.წ. 20 დეკემბერს ჩატარდა სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის 3-326 სხდომა (თავმჯდომარე ტატო ლასხიშვილი; წევრები — თემურ ღაღანიძე, ზურაბ პეტრიაშვილი; პ/მდივანი — ზვიად დარასელი).

დღის წესრიგი: თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის — ალექს გარსიას მიერ ა.წ. 19 დეკემბერს, საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვაში“ სფფ-ისა და საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მომსახურე მსაჯების მიმართ არაკორექტული, შეურაცხმყოფელი განცხადების გაკეთების შესახებ.

კომიტეტის წევრებმა შეისწავლეს საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვაში“ა.წ. 19.12 „დინამოს“მთავარი მწვრთნელის — ალექს გარსიას მიერ გაკეთებული განცხადება.

დაადგინეს: საქართველოს 2011-12 წლების ეროვნული ჩემპიონატის დებულების 7.2. პუნქტის თანახმად, თბილისის „დინამოს“ კლუბი, რომლის მთავარმა მწვრთნელმა — ალექს გარსიამ ა.წ. 19.12 საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვაში“ და პრესის საშუალებით სფფ-სა და მსაჯთა კორპუსის მისამართით გააკეთა არაკორექტული, შეურაცხმყოფელი განცხადება — დაჯარიმებულია 3500 ლარით. მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში, კლუბი დაჯარიმდება 7000 ლარით. ხოლო განცხადების უშუალო ავტორს აეკრძალება საფეხბურთო საქმიანობა ერთი კალენდარული წლის ვადით.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ვულვზი-ნორვიჩი | 2:2 |
| ბლექბერნი-ბოლტონი | 1:2 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

| | |
|---|---|
| რეალი-პონფერადინა | 5:1 |
| ხიხონი-მალიორკა | 0:2 |
| ესპანიოლი-სელტა | 4:2 |
| სევილია-სან როკე | 2:1 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| სიენა-ფიორენტინა | 0:0 |
| კალიარი-მილანი | 0:2 |

**გერმანია. თასი**

| | |
|---|---|
| ბოხუმი-ბაიერნი | 1:2 |
| ნიურნბერგი-ფიურტი | 0:1 |
| ფორტუნა-დორტმუნდი | 0:0(4:5პ) |
| ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 2:1 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ნანსი-მარსელი | 1:3 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| ამიენი-ნანტი | 0:2 |
| ანჟე-მეცი | 2:0 |
| არლე-ისტრი | 1:5 |
| ბასტია-ტური | 4:1 |
| ბულონი-ტრუა | 2:0 |
| ლავალი-ლე მანი | 2:1 |
| ლანსი-შატორუ | 2:3 |
| რეიმსი-ლე ავრი | 3:1 |
| მონაკო-კლერმონი | 0:0 |

**ჰოლანდია. თასი**

| | |
|---|---|
| ვალვაიკი-იგლზი | 3:2 |
| ერაკლესი-გრააფსხაპი | 4:0 |

**საბერძნეთი. თასი**

| | |
|---|---|
| აგროტიკოსი-პანათინაიკოსი | 0:1 |
| კალონი-პანიონიოსი | 2:3(დდ) |
| პონტიონი-ქსანთი | 0:2 |
| ტრასივულოსი-ლევადიაკოსი | 1:1(4:2პ) |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 1:4 |
| ოტავა-ბუფალო | 4:1 |
| პიტსბურგი-ჩიკაგო | 3:2 |
| ფლორიდა-ფინიქსი | 1:2 |
| ვინიპეგი-აილენდერსი | 2:2(0:1ბ) |
| კალგარი-მინესოტა | 2:1 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# გიზო ჟორდანიამ „რევიზორი“ დადგა

ეკა ირემაშვილი



22 დეკემბერს მარჯანიშვილის თეატრში პრემიერაა. რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ უწყვეტი მუშაობის შემდეგ მაყურებლისთვის ახალი სპექტაკლი დადგა. რეჟისორის არჩევანი ამჯერად რუსი მწერლის ნიკოლოზ გოგოლის ნაწარმოებზე „რევიზორი“ შეჩერდა.

– რაც კი რამ ცუდი, უხეში და უსამართლოა რუსეთში, აი აქ, „რევიზორში“ მოვუყარე თავი და გადავწყვიტე ამ მანკიერებათათვის კიდევ ერთხულ დამეცინა, – ამბობს რეჟისორი.

მარჯანიშვილის თეატრში გიზო ჟორდანიას მიერ დადგმული „ლუარსაბ თათქარიძე“ ახლაც არის რეპერტუარში.

– გიზო ჟორდანია თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული რეჟისორია, სახელმწიფო და პროფესიული პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, ცნობილი პედაგოგი – მსახიობთა და რეჟისორების თაობების აღმზრდელი. ლევან წულაძე, მერაბ ნინიძე, ირაკლი კავსაძე, ნანუკა ხუსკივაძე, ნინო თარხან-მოურავი, გოჩა კაპანაძე, მამუკა კიკალიშვილი, ზურა ბერიკაშვილი – ეს იმ მსახიობთა თუ რეჟისორთა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც სწორედ გიზო ჟორდანიას ხელში დაფრთიანდნენ. გიზო ჟორდანიას ყოველ ახალ ნამუშევარს დიდი ინტერესით ელოდება ყველა. მას სხვადასხვა თეატრებში დადგმული სპექტაკლები „დეზერტირკა“, „მარადისობის კანონი“, „სამოთხის ჩიტი“, „ანა ფრანკის დღიური“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ამაღამ მგონი იქნება ქარი“, „ჰამლეტი“. სპექტაკლები თეატრების სეზონების ნამდვილ ჰიტებად იყო ქცეული. დღეს მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარს ამშვენებს ილია ჭავჭავაძის „ლუარსაბ თათქარიძე“, რომელიც ბატონი გიზოს რეჟისურით განხორციელდა, – განაცხადა მარჯანიშვილის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა თამუნა ლალიაშვილმა.

გიზო ჟორდანიას ახალ სპექტაკლში მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები არიან დაკავებული. ორმოქმედებიან წარმოდგენაში მონაწილეობენ დავით დვალიშვილი, ზვიად სხირტლაძე, მანანა კაზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, როლანდ ოქროპირიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი თენგიზ პაპიძე, სოსო გოგიჩაიშვილი და ავთო მიქაძე. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ზურაბ გაგლოშვილს ეკუთვნის, ხოლო მხატვრობა – აივენგო ჭელიძისაა.

შემოქმედებითმა ჯგუფმა უწყვეტი რეპეტიციების და წინასაპრემიერო სამზადისის ციკლი დაასრულა და ახლა უკვე თავისი სათქმელის მაყურებლამდე მისატანად მზად არის.

# ჟურნალისტებისთვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად კვლავ პაკისტანი რჩება

ისევე, როგორც გასულ წელს, პაკისტანი ჟურნალისტებისთვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად აღიარეს – იქ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 7 რეპორტიორი დაიღუპა. როგორც ჟურნალისტთა დაცვის ნიუ-იორკის კომიტეტის მოხსენებაშია ნათქვამი, გასულ წელს ყველაზე მეტი, 18 ჟურნალისტი ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში დაიღუპა.

სულ 2011 წელს მსოფლიოში ძალადობის მსხვერპლი 43 ჟურნალისტი გახდა.

ქვეყნების რიცხვს, სადაც ჟურნალისტურ მოღვაწეობას მაღალი რისკი ახლავს, მიეკუთვნება ასევე ლიბია და ერაყი, სადაც ჟურნალისტების დაღუპვის ხუთ-ხუთი შემთხვევაა რეგისტრირებული; ასევე მექსიკა, სადაც მასმედიის სამი წარმომადგენელი დაიღუპა.

კომიტეტის სტატისტიკით, 2010 წელს 44 ჟურნალისტი დაიღუპა. ამ დროისთვის კომიტეტი კიდევ 35 სასიკვდილო შემთხვევას იძიებს, რომლებიც 2011 წელს მოხდა; რათა გაირკვეს, დაკავშირებულია თუ არა იგი დაღუპულთა პროფესიულ მოღვაწეობასთან.

2011 წელს რუსეთში ჟურნალისტის ერთი მკვლელობა დაფიქსირდა. გასულ კვირას მახაჩყალაში უცნობმა „თავისუფალი სიტყვის“ გენერალური

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# პრეზიდენტის რეზიდენციასთან ლეიბორისტული პარტიის აქცია გაიმართა



საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ინიციატივით პრეზიდენტის ავლაბრის სასახლესთან საპროტესტო აქცია გაიმართა. ლეიბორისტებმა მიხეილ სააკაშვილს დაბადების დღე მიულოცეს და სიმბოლურად სახრჩობელაზე ჩამოკიდებული საქართველოს დროშის ფიტული აჩუქეს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის განცხადებით, მათი საჩუქარი რეალურად გამოხატავს იმ მდგომარეობას, რაშიც ბოლო 8 წლის განმავლობაში სააკაშვილმა საქართველო ჩააგდო.

„სააკაშვილმა საქართველო ჩამოახრჩო“, – განაცხადა ნათელაშვილმა.

მისივე განცხადებით, სჯობდა სააკაშვილი საერთოდ არ დაბადებულიყო, რადგან საქართველო იმ დიდ უბედურებასა და განსაცდელს გადარჩებოდა, რაც მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანას მიაყენა.

ლეიბორისტების აქციას ადამიანის უფლებათა დამცველი დავით ლილუაშვილი და პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალექსანდრე შალამბერიძეც შეუერთდა. ლეიბორისტების აქციის გამო პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინ სამანქანო მოძრაობა დროებით შეზღუდული იყო.

პარტიის პოლიტიკური მდივნის გიორგი გუგავას განცხადებით, ლეიბორისტები საპროტესტო აქციებს ამიერიდან უკვე მომავალ წელში გამართავენ.

მედიანიუსი

# შეშლილი სამყარო რუსთაველის თეატრშია

ეკა ირემაშვილი

22 და 23 დეკემბერს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე საპრემიერო დღეებია. რეჟისორმა ნინო ლიპარტიანმა უკვე დაასრულა წინასაპრემიერო სამზადისი მსახიობთა ჯგუფთან და სპექტაკლის წარდგინებისთვის ემზადება.

„შეშლილი სამყარო“ – ასე ეწოდება წარმოდგენას, რომელიც იუკიო მისიმასა და პიტერ ვაისის მიხედვით არის დადგმული. ერთმოქმედებიანი ტრაგიკული ფარსის ინსცენირების ავტორი და რეჟისორი ნინო ლიპარტიანია, დამდგმელი მხატვარი – თემურ ნინუა, მხატვარი – ქეთი ნადიბაიძე, კომპოზიტორი – მიშა მდინარაძე, ქორეოგრაფი – კახა ბაკურაძე, რეჟისორის თანაშემწე – რუსუდან ბარბაქაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები – ნანუკა ხუსკივაძე, თათული დოლიძე, ზურა ინგოროყვა, მანანა აბრამიშვილი, დარეჯან ხარშილაძე, რუსუდან მაყაშვილი, ლელა ახალაია, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ირაკლი სანაია, მამუკა ლორია, ედმონდ მინაშვილი და ბექა სონღულაშვილი. ახალ სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია.

– სპექტაკლში მოთხრობილია დე სადის ოჯახის ისტორია, რომელიც ამბოხებული ქალაქის ფონზე ვითარდება. ოჯახის უფროსს ქალბატონ დე მონტრეს, რომელიც საზოგადოებრივი აზრისა და მორალის დამცველად გვევლინება, ცხოვრებამ საშინელი გამოცდა მოუწყო. სიძედ „გარყვნილი ურჩხული“ მარკიზ დე სადი მოევლინა. მონტრეს უფროსი ქალიშვილი რენე ორ ცეცხლს შუაა – რა ქნას, უერთგულოს მეუღლეს და ამით დაემორჩილოს ღვთის ნებას, თუ დადგეს მორალის დამცველი დედის გვერდით და იბრძოლოს სახელის გადასარჩენად. რენემ ჭეშმარიტების საძიებლად ტაძარს მიაშურა. ბოროტებასა და სიკეთეს შორის გავლებული ზღვარი იმდენად უხილავია, რომ ჩვენ ვერასდროს ვიპოვით ჭეშმარიტებას, საკუთარი გამოცდილებით მოპოვებული „ჭეშმარიტების“ გარდა, – ნათქვამია რუსთაველის თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მსახიობებმა რეჟისორის უკანასკნელი მითითებებიც შეასრულეს და ახლა უკვე შეფასებას პრემიერაზე მისული მაყურებლისგან ელოდებიან.

ზურა ინგოროყვა, მსახიობი:

– ყველასთვის ცნობილია, რომ მარკიზ დე სადი ისტორიული ფიგურა იყო. ჩვენი სპექტაკლი დღეს პასუხობს ყველა კითხვას, რომელიც არის ქვეყანაში და რაც დღეს ხდება. როცა როლზე მუშაობ, ცდილობ პერსონაჟი შენს თავთან გააიგივო, აღმოაჩინო, რა გაქვთ ერთნაირი და საერთო. ხშირ შემთხვევაში არის დამთხვევები, როცა ახლოს ხარ გმირთან. ამ შემთხვევაში კი ეს არ მოხდა – ჩემი პერსონაჟი საერთოდ არანაირად ახლოს არ არის ზურა ინგოროყვასთან.

თათული დოლიძე, მსახიობი:

– ძლიერი ქალბატონია ჩემი გმირი, რომელიც გადამეტებულად ზრუნავს თავის შვილებზე, ზღუდავს მათ თავისუფლებას, თუმცა ზოგჯერ შვილების თავისუფლებაც გადამეტებულია. როგორიც ვარ ამ სპექტაკლში, ეგეთი ცხოვრებაში ნამდვილად არ მინდა ვიყო. ეს სპექტაკლი არის ძლიერ, ზომა-წონას გადასულ სიყვარულზე, ძალიან დიდ ვნებებზე. გონიერი მაყურებელი, რომელსაც უყვარს სპექტაკლის არსში ჩაწვდომა, აუცილებლად მონახავს ყველანირ სპექტაკლში საერთოს და პარალელს გაავლებს იმ დროსთან, რა დროშიც ცხოვრობს და რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს.

ნანუკა ხუსკივაძე, მსახიობი:

– ჩემი პერსონაჟი ცხოვრებას შერკინებული ადამიანია. ის ორ მონსტრს შორის არის – დედასა და ქმარს შორის. მძიმე კალიბრიანი მონსტრები არიან – დედა არის მორალის მქადაგებელი, ქმარი კი – სრულიად ამორალური. როლი თუ შედგა და ჩაითვალა, რომ ასე ვთქვათ, კარგად არის ნათამაშევი მსახიობის მიერ, ვფიქრობ, ის ყოველთვის იტყვის თავის სათქმელს. ყველა არტისტს სჭირდება კარგად მოძებნა, კარგი დაზვერვა, კარგი ქექვა საკუთარ თავში, შემდეგ ამის ამოღება და ოსტატობის გამოვლენა, რომ იგუო ეს ყველაფერი სცენაზე. მაყურებელი ამ თეატრში კიდევ ერთხელ ნახავს რეალურ თეატრს. ვფიქრობ, მართლა კარგი სპექტაკლია.

# ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასურის განაკვეთი შემცირდება

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასურის განაკვეთი შემცირდა. შესაბამისი ცვლილებები პარლამენტმა ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონში რიგგარეშე სხდომაზე დაამტკიცა.

ცვლილებების თანახმად, ნოტარიუსისათვის განკუთვნილი საზღაურის ოდენობა, მომსახურების ვადები და საზღაურის გადახდევინების წესი, ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობა, მომსახურების ვადები და საფასურის გადახდევინების წესი, ასევე ნოტარიუსთა პალატაში სტაჟირების გავლის საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამასთან, მცირდება ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასურის განაკვეთი.

მედიანიუსი

## შეგიძლიათ თუ არა სიგარეტის გადაგდება

ტესტი



1. რამდენ სიგარეტს ეწევით დღეში?
ა. 10-მდე (0). ბ. 10-20 (1). გ. 20-ზე მეტი (2).
2. რამდენ ნიკოტინს შეიცავს თქვენი სიგარეტები?
ა. 0.8 მგ-მდე (0). ბ. 0.8-1.5 მგ. გ. 1.5 მგ-ზე მეტი.
3. 'ყლაპავთ" თუ არა კვამლს?
ა. არასდროს (0). ბ. ხანდახან (1). გ. ყოველთვის (2).
4. როდის უფრო მეტ სიგარეტს ეწევით?
ა. დილით (1). ბ. დღის მეორე ნახევარში (0).
5. როდის ეწევით პირველ სიგარეტს?
ა. დილით საწოლში (2). ბ. საუზმის შემდეგ (1). გ. უფრო გვიან (0).
6. ეწევით თუ არა საწოლში, ავად რომ ხართ?
ა. დიახ (1). ბ. არა (0).
7. რომელი სიგარეტი უფრო გსიამოვნებთ?
ა. პირველი (1) ბ. არც ერთი (0). გ. მეორე (0).
8. გიჭირთ თუ არა საზოგადოებრივ ადგილებში სიგარეტზე უარის თქმა?
ა. დიახ (1). ბ. არა (0).

**0-2 ქულა:** თქვენ ჯერ არ შეჩვევიხართ სიგარეტს, არ გაგიჭირდებათ მავნე ჩვეულებისთვის თავის დანებება;

3-5 ქულა: უკვე მიეჩვიეთ სიგარეტს, დაუყოვნებლივ თავი უნდა დაანებოთ.

**6-9 ქულა:** თქვენი ორგანიზმი უკვე დამოკიდებულია ნიკოტინზე, თუ მომავალშიც ასე გააგრძელებთ, მდგომარეობა უფრო დამძიმდება.

**10-12 ქულა:** შეიძლება ითქვას, რომ სიგარეტს ველარ შორდებით, დანებებისთვის მოთმინება და ნებისყოფის მოკრება დაგჭირდებათ. **გ. თ.**

## იუმორი



ორი პლანეტა ერთმანეთს შეხვდა. ერთმა მეორეს შესჩივლა:

– რაღაც ცივილიზაცია შემეყარა. არ იცი, როგორ ვუმკურნალო?

– ყურადღებას ნუ მიაქცევ. რამდენიმე მილიონი წლის წინ მეც მქონდა, მაგრამ უკვალოდ გაქრა...

***

– კურდღელზე უფრო კარგად არავინ იცის, თუ რას ნიშნავს მგლის მადა...

***

– საქორწინო მახეები ისე ოსტატურად არის დაგებული, რომ იმპოტენტიც კი ებმება...

***

ტურისტი კანიბალს გაურბის და უყვირის:

– თავი დამანებე, ცოლი და ოთხი შვილი მყავს სარჩენი!

– შენ გინდა, რომ ჩემები შიმშილით გაწყდნენ?

***

– თუ გინდათ, რომ ცოლი სახლში ყვირილს გადააჩვიოთ, მრისხანე სახით მაგიდაზე სიასამურის ქურქი უნდა დაახეთქოთ... **გ. თ.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ნიდერლანდების დედაქალაქი; 2. ქართული მინერალური წყალი; 3. ღვინის ნიმუში გასასინჯად; 4. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 6. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 7. საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ დამფუძნებელი; 9. მოდელების სასაგენტო თბილისში; 13. პატარა ბაღი; 17. ფულის საერთაშორისო ერთეული; 18. ჯარის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. მდინარე ამსტერდამში; 3. დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 8. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 10. ბაზარში დაწესებული ფასი; 11. იაპონური აბანო; 12. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 14. აზნაური ესპანეთში; 15. ვირტუოსი ქართველი ფეხბურთელი; 16. თავსხმა წვიმა; 19. პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 20. შავწინწკლებიანი, წითელი ფერის პატარა მრგვალი ხოჭო; 21. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაშვრალი; 2. პასტელი; 3. ასადი; 4. კარიერი; 5. ბურნუთი; 10. ტაბლოიდი; 11. გუდიაშვილი; 12. „ობოლონი“; 15. „ტრაიდენტი“; 16. ზღარბი; 17. პოპლიკა; 20. ბიგლი.

**თარაზულად:** 6. მანსანარესი; 7. თაფლუჭი; 8. ფრიკასე; 9. ხახული; 13. რიგა; 14. გულაბი; 18. ალიგატორი; 19. ვოლგა; 21. „ხიხვი“; 22. ცირიკი; 23. ხაბიზგინა; 24. პრისტინა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გაბრინუსი; 2. „ლუგელა“; 3. ბომარშე; 4. ტუმბო; 5. ჟურფიქსი; 6. ჰიჯრა; 7. „ლოკჰიდი“; 9. ნაზუქი; 13. დინგო; 17. ქოცო; 18. ობი.

**თარაზულად:** 1. „გუდვილი“; 3. ბატატი; 8. სულიკო; 10. რენუარი; 11. ფრეზა; 12. ტორსიდა; 14. ონიქსი; 15. აპენინი; 16. საქსი; 19. ნაგაზი; 20. „ციურიხი“; 21. ორფოლო.

# ბელორუსის „კაგებეს“ თანამშრომლები უკრაინელ ქალებს სცემდნენ და დანით ემუქრებოდნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ღამე ტყეში სცემდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ; ისინი გააშიშვლეს და დაწვით ემუქრებოდნენ, ასევე დანით ემუქრებოდნენ და თმებიც შეაჭრეს. დაცინვას ვიდეოკამერით იღებდნენ.

ამას გარდა, მსხვერპლთა მტკიცებით, ე.წ ჩეკისტებმა ისინი ფაქტობრივად გაძარცვეს, წაართვეს ფული და დოკუმენტები. დილისთვის, შევჩენკომ, შაჩკომ და ნემჩინოვამ გომელის ოლქის სოფელ ელსკთან გამოსვლა მოახერხეს.

ავსტრალიელი ჟურნალისტი კეტი გრინი, რომელიც მინსკში ფემენის აქციას იღებდა, ბელორუსის ხელისუფლებამ იძულებით ლიტვაში გააძევა.

ამასთან, ბელორუსის „კაგებეში“ და შსს-ში ამ ინფორმაციის კომენტარზე უარი განაცხადეს. ორივე უწყების წარმომადგენელმა ერთი და იმავე ფრაზით უპასუხა: „კომენტარების გარეშე“.

ამასობაში, ბელორუსში უკრაინის საელჩომ, თანამემამულეების დაკარგვის შემდეგ ბელორუს ძალოვნებს ოფიციალური მოთხოვნა გაუგზავნა, რაზეც პასუხები ჯერ არ მიუღია. როდესაც მათი ადგილსამყოფელი გაირკვა, უკრაინის კონსული დასახმარებლად გაემართა.

უკრაინული ორგანიზაცია ფემენის გოგონები მთელი მსოფლიოს მასშტაბით საპროტესტო გამოსვლებს აგრძელებენ. ამჯერად მკერდმოშიშვლებულმა ნიმფებმა აქცია ბელორუსში, მინსკში, „კაგებეს“ შენობასთან მოაწყვეს. ისინი „გაუმარჯოს ბელორუსს“ ყვიროდნენ.

ერთ-ერთი აქტივისტი კომიტეტის დაცვის თანამშრომლებს დიდხანს დაამახსოვრდებათ. ულვაშიანი უკრაინელი ფემინისტი პრეზიდენტ ლუკაშენკოს ასახიერებდა.

– ბელორუსელებს გვინდა მოვუწოდოთ, არ შეეშინდეთ და გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ მასხარა ლუკაშენკოს რეჟიმს, – განაცხადეს მოძრაობის წარმომადგენლებმა.

უშუალოდ აქციის მსვლელობისას თავად „ფემენის“ წევრები არ დაშავებულან, – იუწყებოდა ადგილობრივი გაზეთი.

როგორც აღმოჩნდა, ნამდვილი კინო ამის შემდეგ იწყებოდა. უკრაინელ ფემენქალებს გომელის ტყის პერიპეტიები ალბათ დიდხანს არ დაავიწყდებათ.

რაც შეეხება კორესპონდენტებს, რომლებიც გოგონებს იღებდნენ, ისინი უშიშროების დაცვამ მინსკშივე დააკავა.

# ჟურნალისტებისთვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად კვლავ პაკისტანი რჩება

დასაწყისი მე-10 გვერდზე

დირექტორი, რესპუბლიკური დამოუკიდებელი გაზეთი „ჩერნოვიკის“ დამფუძნებელი, ჰაჯიმურად კამალოვი მოკლა.



გასულ წელს საბრძოლო მოქმედებისას რვა ჟურნალისტი დაიღუპა, მათგან უმრავლესობა – ლიბიის რევოლუციისას.

როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, 2011 წელს განსაკუთრებით მეტი ფიტოჟურნალისტი დაიღუპა: სიკვდილის 40% ფოტოგრაფებსა და ოპერატორებზე მოვიდა.

აქვე გთავაზობთ, ზოგადი მაჩვენებლებით, 10 ყველაზე სახიფათო ქვეყნის რეიტინგს, რომელიც ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ შეადგინა.

10. რუსეთში მაღალია კრიმინალის მაჩვენებელი. ის ერთ-ერთი „უმდიდრესი“ ქვეყანაა კრიმინალური დაჯგუფებებით. ამ უარყოფით მაჩვენებელში ჩრდილოეთ კავკასიას „საპატიო ადგილი“ უკავია.

9. ბრაზილიაში მაღალია სიღარიბის და აგრეთვე ქუჩის კრიმინალის მაჩვენებელი. იქ ხდება თავდასხმები არა მარტო მშვიდობიან მოქალაქეებზე, არამედ ძალოვან სტრუქტურებზეც.

8. სამხრეთ აფრიკა ცნობილია როგორც „ძალადობის დედაქალაქი“. აქ ხშირია ძალადობა და ძარცვა, აგრეთვე სხვა სახის კრიმინალი. ქვეყანაში 10 მილიონზე მეტი ადამიანი შიდსითაა დაავადებული.

7. ბურუნდი არის პატარა ქვეყანა, რომელიც გაანადგურა სამოქალაქო ომმა, სადაც ორი დაჯგუფება სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდება ერთმანეთს. ძირითად პრობლემებს შეადგენს სიღარიბე, კრიმინალის მაღალი მაჩვენებელი და შეიარაღებული სეპარატისტული დაჯგუფებები.

6. ანტარქტიდაზე არ არის კრიმინალის პრობლემა, მაგრამ იქ ტემპერატურა 60 გრადუსია და ქრის ქარი 100 კილომეტრი საათის სიჩქარით. ეს უკვე მომაკვდინებელია. თან იქ არც საავადმყოფო და არც ისეთი ადგილია, სადაც საკვების შოვნა არის შესაძლებელი.

5. ავღანეთი მუდმივი „სტრატეგიული ქვეყანაა“. იქ სულ მიმდინარეობს ომი (როცა სხვას არ ებრძვიან, მაშინ სამოქალაქო ომი აქვთ). ხშირია დაბომბვები, სუიციდი (მსოფლიოს ნარკოტიკის 90% ავღანურია).

4. სომალი არის ანარქიის ცენტრი. იქ მიმდინარეობს ომი კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის. აგრეთვე არიან მეკობრეები, რომლებიც ხელს უშლიან საზღვაო მიმოსვლას და ტვირთის გადატანას.

3. სუდანთან უკვე ასოცირდება სიკვდილი და უბედურება. მის ნაციონალურ სახედ ტერორიზმი იქცა. 2 მილიონზე მეტი ადამიანი იქნა მოკლული სამოქალაქო ომის დროს.

2. კოლუმბიაში ხალხის მოტაცება ძალზე ხშირია. 1998 წელს 2338 ადამიანი იქნა გატაცებული და იქიდან 138 მოკლეს. ის მეოთხეა მსოფლიო რეიტინგში მკვლელობების მიხედვით. კოლუმბია ცნობილია კოკაინით. იქ უდიდესი რაოდენობით ხდება მისი მოყვანა.

1. ირანი მდიდარია ნავთობით, მაგრამ ეს ქვეყანა დაინგრა გაუთავებელი ომით და კონფლიქტებით, რასაც მოაქვს დიდი მსხვერპლი და არეულობა. სამწუხაროდ, ახლო მომავალში ამ „ცივილიზაციურ დაპირისპირებებს“ შეწყვეტა არ უწერია. პირიქით, ესკალაციის ახალი ეტაპი იწყება. დასავლური შეფასებით, ირანი აგრეთვე ცნობილია როგორც „ჯოჯოხეთი დედამიწაზე“.

**მოამზადა**
**გერა მამულაშვილმა**

# აშშ-მ ირანს შეიძლება დაარტყას

ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების შესაძლებლობას, პენტაგონის ხელმძღვანელი ადასტურებს.

– აშშ ყველა აუცილებელ ზომას მიიღებს იმისთვის, რომ ირანში ბირთვული იარაღის შექმნა აღკვეთოს, – ამის შესახებ ტელეკომპანია „სიბიესთან“ ინტერვიუში პენტაგონის ხელმძღვანელმა, ლეონ პანეტამ განაცხადა.



ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამერიკულ დაზვერვას ირანში ბირთვული იარაღის შექმნაზე დამადასტურებელი ინფორმაცია ექნება.

პენტაგონის ხელმძღვანელის აზრით, „ირანს ბირთვული იარაღის შექმნა ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში შეუძლია“.

12 დეკემბერს ვენის კონფერენციაზე გამოსვლისას ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაქმა ირანის წინააღმდეგ „დაუყოვნებლივი. მაპარალიზებელი სანქციების შემოღება“ მოითხოვა, რათა თეირანს ბირთვული იარაღი ხელში არ ჩაუვარდეს.

შეგახსენებთ, რომ ხმები ირანის წინააღმდეგ ისრაელის და აშშ-ს შეტევის მომზადებაზე, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სკანდალურ მოხსენებასთან დაკავშირებით გაჩნდა, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ქვეყანა ბირთვული ბომბის შექმნას უახლოვდება.

ამ დოკუმენტის გამოქვეყნებამდე ბრიტანულმა პრესამ დაწერა, რომ ირანზე აშშ-ს დარტყმის შემთხვევისთვის, დიდი ბრიტანეთი მხარდამჭერ სამხედრო ოპერაციის გეგმას ამზადებს და რომ შეტევის შესაძლებლობას ისრაელიც განიხილავს.

ხოლო „მაგატეს“ მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ, ბრიტანულ პრესაში გაჩნდა მონაცემები, რომ ისრაელის დარტყმა შესაძლოა უკვე კათოლიკური შობისთვის – 25 დეკემბრისთვის განხორციელდეს.

თუმცა, პენტაგონის ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ მაშინ ეს უარყო და განაცხადა, რომ იგი შეიძლება „გაუთვალისწინებელი შედეგებით დასრულდეს; მან თეირანის წინააღმდეგ სხვა ზეწოლა – ყველაზე მკაცრი ეკონომიკური და დიპლომატიური სანქციების გატარება მოითხოვა.

თავის მხრივ, რუსეთი ახალ სანქციებს ასევე ეწინააღმდეგება. მოსკოვი ირანზე ძალისმიერი ზემოქმედების კატეგორიული მოწინააღმდეგეა.

მოსკოვში ამას კონტრპროდუქტიულად თვლიან და აღნიშნავენ, რომ ბირთვული პრობლემატიკა, თეირანში რეჟიმის შესაცვლელ მიზეზად შეიძლება გამოიყენონ.

ამავე დროს, პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთი ირანში ომისთვის ემზადება: კრემლში, სამხედრო წყაროების ცნობით, შედის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისრაელმა აშშ-ის დახმარებით სულ მალე, შესაძლოა, ირანის ბირთვულ ობიექტებზე დარტყმა მიიტანოს.

თუკი ომი ირანის წინააღმდეგ მართლაც დაიწყება, იგი რუსეთისთვის კატასტროფის მომტანი იქნება იმ გაგებით, რომ იგი დაკარგავს თავის საკვანძო ფორპოსტს ამიერკავკასიაში -102-ე სამხედრო ბაზას სომხეთში.

რუსული „ნეზავისიმაია გაზეტას“ ინფორმაციით, უკვე წელიწადზე მეტია, რაც რუსეთმა დაიწყო ზომების მიღება თეირანის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შემთხვევაში საკუთარი დანაკარგების მინიმიზაციისთვის და ახლა ეს მოსამზადებელი სამუშაო პრაქტიკულად დასრულებულია.

სომხეთში არსებული სამხედრო ბაზა მთლიანად ოპტიმიზებულია. სამხედროთა ოჯახის წევრები იქიდან გაიყვანეს, რუსული გარნიზონი, რომელიც ერევნის სიახლოვეს იყო დისლოცირებული, შემცირებულია, სამხედრო ნაწილები კი იქიდან გიუმრის რაიონშია გადაყვანილი – თურქეთის საზღვრის სიახლოვეს. სწორედ თურქეთის ტერიტორიიდანაა მოსალოდნელი აშშ-ის შეიარაღებული ძალების დარტყმა ირანში მდებარე ობიექტებზე.

პირველი დეკემბრიდან სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მდებარე რუსული სამხედრო ბაზები.

შავი ზღვის ფლოტის გემები კი საქართველოს საზღვართან ახლოს დაცურავენ, რომელიც ამ კონფლიქტში შესაძლოა ანტიირანული ძალების მხარეს აღმოჩნდეს.

დაღესტნის იზბერბაშში, აზერბაიჯანის საზღვართან ძალიან ახლოს, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფება სანაპირო სარაკეტო დივიზიონი, რომელიც კომპლექს „ბალ-ე“-ს გემთსაწინააღმდეგო რაკეტებითაა აღჭურვილი. მათი მოქმედების არეალი 130 კილომეტრს შეადგენს.

მახაჩყალისა და კასპიისკის რაიონებში ასტრახანიდან დისლოცირებულია კასპიისკის ფლოტილიის ყველა სარაკეტო კატერი გემების ერთიანი დაჯგუფების შესაქმნელად. ამასთან ერთად, ფლოტილიის ფლაგმანს სადარაჯო სარაკეტო გემს „ტატარსტანს“ მალე შეუერთება მცირე საარტილერიო გემი „ვოლგოდონსკი“ და სარაკეტო გემი „დაღესტანი“.

ფლოტილიის ფლაგმანები აღჭურვილია სარაკეტო სისტემებით, რომელთა მოქმედების არეალი 200 კილომეტრია, იუწყება გამოცემა.

ამას გარდა, შორეული ზღვაოსნობისათვის ხმელთაშუა ზღვაში ახლახან გავიდა რუსეთის სამხრეთის ფლოტის დაჯგუფება. მის შემადგენლობაშია მძიმე ავიამზიდი კრეისერი „ადმირალ კუზნეცოვი“ და დიდი გემი „ადმირალ ჩაბანენკო“. ისინი სირიის პორტ ტარტუსში უნდა შევიდნენ, სადაც რუსული ფლოტის დასაყრდენი პუნქტია.

ამას გარდა, ირანის წინააღმდეგ ომის გათვალისწინებით, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო სიფრთხილით უდგება აზერბაიჯანს, რომელმაც ბოლო სამი წლის განმავლობაში სამჯერ გაზარდა თავისი სამხედრო ბიუჯეტი და ახლაც აგრძელებს ისრაელის წარმოების უპილოტო მზვერავი თვითმფრინავებისა და დაზვერვის მოწინავე საშუალებების შესყიდვას.

ამას გარდა, ბაქომ გააძლიერა ზეწოლა მოსკოვზე და გაბალის რადიოლოკაციური სადგურის გამოყენებისთვის მისგან მნიშვნელოვნად გაზრდილ საიჯარო გადასახადს მოითხოვს.

ექსპერტების აზრი იმის შესახებ, თუ ვის მხარეს დაიკავებს აზერბაიჯანი ირანის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყების საკითხში, ორად იყოფა: სამხედრო პროგნოზების ცენტრის ხელმძღვანელი ანატოლი ციგანოკი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ ბაქო ანტიირანულ კოალიციას დაუჭერს მხარს და ასევე ნაკლებ სავარაუდოა, რომ იგი სომხეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებს დაიწყებს.

სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი ვლადიმერ პოპოვი კი, რომელიც ყოველთვის ახდენდა ანალიზს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისა 1991-1993 წლებში, ახლა კი აზერბაიჯანის პრეზიდენტის მიერ გატარებულ რეფორმებს ადევნებს თვალს, მიიჩნევს, რომ სრულიად შესაძლებელია, ამ ქვეყანამ შექმნილი მდგომარეობა გამოიყენოს და ბოლოს და ბოლოს ტერიტორიული დავა სომხეთთან თავის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

კიდევ ერთი ქვეყანა, რომელიც რუსეთის შეშფოთების საფუძველს იძლევა, საქართველოა. მან აპრილში შეწყვიტა ხელშეკრულების მოქმედება სომხეთში სამხედრო ტვირთების ტრანზიტის შესახებ, ასე რომ, რუსულ-სომხური დაჯგუფება სამხრეთ კავკასიაში უკვე იზოლირებულია, ნათქვამია სტატიაში.

რუსული არმიის მომარაგება საწვავით, სურსათითა და სხვა პროდუქტებით ხორციელდება მხოლოდ საჰაერო და სომხეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების გზით, რომელიც, თავის მხრივ, მსგავს პროდუქციას ირანში ყიდულობს. ასე რომ, ომი ირანში იმის მაუწყებელი იქნება, რომ ამ არხით ბაზის მომარაგება შეწყვეტილია.

გენერალ-ლეიტენანტი იური ნეტკაჩოვი მიიჩნევს, რომ ირანში ომის დაწყების შემთხვევაში, რუსეთი იძულებული იქნება, სამხედრო ობიექტის მომარაგების საიმედო გზა საქართველოს გავლით ეძებოს.

– შესაძლოა ქართული სატრანსპორტო ბლოკადის გარღვევამაც მოგვიწიოს, რათა სამხედრო საშუალებებით სომხეთში მიმავალი სატრანსპორტო დერეფნები უზრუნველვყოთ, – აცხადებს გენერალ-ლეიტენანტი.

რაც შეეხება თავად ირანს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვი ომის დაწყების შემთხვევაში თეირანს დახმარებას ტექნიკურ დონეზე მაინც აღმოუჩენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ანგარიშზე დაყრდნობით, ისრაელის დარტყმა ირანზე, შესაძლოა, კათოლიკური შობისთვის ანუ 25 დეკემბრისთვის განხორციელდეს. შესაძლო დარტყმაზე უკვე არაერთგზის ისაუბრა პენტაგონის ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ.

ცნობისთვის, ირანი არის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო მსოფლიოში. პირველი პროტოირანული სახელმწიფო ელამი წარმოიშვა ჩ.წ.აღ-მდე III ათასწლეულში. დარიუს I-ის დროს (550 – 486 წლებში) ირანის სახელმწიფო გადაჭიმული იყო საბერძნეთიდან მდინარე ინდამდე.

ირანი არის ზოროასტრიზმის (მაზდეანობის) შექმნის ადგილი. XVI საუკუნისთვის ირანის რელიგია ხდება მაჰმადიანობა.

1979 წელს ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია აიათოლა ჰომეინის ხელმძღვანელობით, რომლის შედეგადაც ირანში გაუქმდა მონარქია და შეიქმნა ისლამური რესპუბლიკა.

დასავლეთ აზიაში ირანის ეკონომიკას უკავია მეორე ადგილი განვითარების მხრივ და ასევე არის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ტექნოლოგიურად განვითარებული სახელმწიფო.

**რუბრიკა მოამზადა**
**გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 22 დეკემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ევროპული არჩევანი **13.50** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **15.00** სერ. **"ნიკიტა"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ნიკიტა"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.20** საფარი **01.50** მხ. ფილმი **"მე სემი ვარ"** (შ. პენი) **04.20** მხ. ფილმი **"უკან დედამიწაზე"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"წმინდანთა ცხოვრება"** **01.00** მხ. ფ. **"ჭეშმარიტი სახე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ჯეოსტარის კონცერტი (გან.) **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი **23.30** სერ. **"ჩეი ცოლის დაქალები"** **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** ან. ფილმი **08.00, 09.00, 10.00** ქრონიკა **08.15** სერ. **"ჰანა მონტანა"** **09.15** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ძალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 2"** **00.00** ავტობიოგრაფია **00.40** რემონტი **01.40** მხ. ფ. **"მატჩ პოინტი"** (15) (ს. იოჰანსონი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი **"დამცველი"** (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"მეათე სამეფო"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"დორის დუკის იდუმალი ცხოვრება"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.00** დოკ. ფილმი **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.15** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"ჩემი მიწა"** **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მაცი ხვიტია"** **13.30** კონცერტი – მთიები **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** მხ. ფილმი **"მობიდიკი"** მე-3 ნ. **16.15** დოკ. ფილმი "თავშესაფარი" **16.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დრო და ტრადიციები **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გამოყენებითი ხელოვნება **21.35** აქტუალური თემა **22.25** დოკ. ფილმი "სიაუშ ქართველი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმის გაგრძელება **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – ტონი ბენეტი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 დეკემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6613 | ევრო —2,2702 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208 | რუსული რუბლი — 0,057 |

**დღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13–15, ღამით — 4–7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11–17, ღამით — 9–13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 3–12, ღამით — -9–2

**ამინდის პროგნოზი 22 დეკემბრისთვის**






# 24 დეკემბრიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

სერია

## „მსოფლიო დეტექტივების სეიფი“

ტომი 1

## ჯეიმს ჰედლი ჩეიზი
## „დათარსული კაცი“

წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი

ჟურნალისტი ციხიდან გამოდის. გარეთ მას ახალი და საინტერესო პერსპექტივა ელის. მისი განხორციელების შემთხვევაში იგი დიდ წარმატებას მიაღწევს, დამარცხება კი სიკვდილის ტოლფასია.

ჟურნალისტი იღებს გამოწვევას და აქედან იწყება წიგნის სიუჟეტიც, რომელიც უამრავი საინტერესო ეპიზოდისგან შედგება.

## საქართველო ერთით ზევით



გამოქვეყნდა ფიფა-კოკა-კოლას ახალი რეიტინგი, რომელშიც საქართველომ ერთი საფეხურით აინაცვლა და ახლა 451 ქულით 73-ე ადგილზეა 451 ქულით. უშუალოდ ევროპული ნაკრებები რომ ავიღოთ, საქართველო 53 ქვეყანას შორის, 36-ე საფეხურზეა. რეიტინგში კი ევროპელთა ჰეგემონიაა – ლიდერი, რა თქმა უნდა, კვლავ ესპანეთია, რომელსაც კვალში ჰოლანდია და გერმანია მიჰყვებიან. ნოემბერთან შედარებით, საუკეთესო ათეულში ცვლილებები საერთოდ არაა. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ბოლო თვეში ევროპულ და სამხრეთამერიკულ ნაკრებებს რეიტინგში ჩასათვლელი მატჩები არ ჩაუტარებიათ.

1.ესპანეთი – 1564; 2.ჰოლანდია – 1365; 3.გერმანია – 1345; 4.ურუგვაი – 1309; 5.ინგლისი – 1173; 6.ბრაზილია – 1143; 7.პორტუგალია – 1100; 8.ხორვატია – 1091; 9.იტალია – 1082; 10.არგენტინა – 1067.

ჩვენი მომავალი მეტოქეებიდან 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, როგორც ხედავთ, ესპანეთი პირველ ადგილზეა, დანარჩენებს კი რეიტინგში შემდეგი ადგილები უკავიათ:

15.საფრანგეთი – 915... 64.ბელარუსი – 501... 86.ფინეთი – 405

მომდევნო რეიტინგი 18 იანვარს გამოქვეყნდება.

მ. ჟ.

## პატრიარქის ნათლულთა რეგისტრაცია იწყება

ეკა ირემაშვილი

რიგით 21-ე საყოველთაო ნათლობისთვის რეგისტრაცია იწყება. ტრადიციულად ნათლობის მსურველებს რეგისტრაციის გავლა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეში“ შეეძლებათ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივით, ჯვარდაწერილ ოჯახში დაბადებული ყოველი მესამე და მომდევნო შვილი, მათი მშობლების თანხმობის შემთხვევაში პატრიარქის ნათლული გახდება. ეს ინიციატივა მისმა უწმინდესობამ 2008 წლის 19 იანვარს ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე გაახმაურა და საკუთარი ინიციატივა საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილით ახსნა. საქართველოს პატრიარქის ინიციატივას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ილია მეორეს უკვე 12.000-ზე მეტი ნათლული ჰყავს.

საქართველოს პატრიარქი გამოვიდა ინიციატივით, რომ ის მზად არის ჯვარდაწერილი მშობლების მეოთხე ბავშვიც მონათლოს, თუკი მშობლების სურვილი იქნება, პატარას ქართული საეკლესიო ტახტის მცველის ტიტული მიენიჭება, ხოლო მის მშობლებს „გმირი მშობლების“ ტიტული გადაეცემათ.

რიგით 21-ე საჯარო ნათლობისთვის რეგისტრაცია ფონდ „ლაზარეში“ 23-დან 27 დეკემბრის ჩათვლით იწარმოებს. ბოლო საყოველთაო ნათლობა 28 ნოემბერს სამების ტაძარში გაიმართა, საქართველოს პატრიარქის ნათლული კიდევ 500-ზე მეტი პატარა გახდა. მორიგი საყოველთაო ნათლობის თარიღი კი ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის.






## ბელორუსის „კაგებეს“ თანამშრომლები უკრაინელ ქალებს სცემდნენ და დანვით ემუქრებოდნენ

უკრაინული მოძრაობა „ფემენის“ სამ აქტივისტს ბელორუსის გომელის ოლქში მიაგნეს. ისინი მინსკში, „კაგებესთან“ შიშველი აქციის შემდეგ დაიკარგნენ.

ინა შევჩენკოს, ოქსანა შაჩკოს და ალექსანდრა ნემჩინოვას სცემეს, ძალით თმები შეაჭრეს, გააშიშვლეს და იძულებული გახადეს, რომ მთელი ღამე ტყეში გაეტარებინათ, – ინფორმაციას საიტი „ქარტია 97“ მოძრაობის კიდევ ერთ აქტივისტზე, ანა გუცოლზე დაყრდნობით ავრცელებს.

გოგონები თავიანთ თანამებრძოლს დაუკავშირდნენ და მოუყვნენ, რომ ისინი ვაგზლიდან ბელორუსული „კაგებეს“ თანამშრომლებმა გაიტაცეს; თვალებაკრულებს ავტობუსით დიდხანს ატარებდნენ, ხოლო შემდეგ მთელი

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 2. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 3. ფრანგი შანსონიე ქალი; 4. ტბა თურქეთ-საქართველოს საზღვარზე; 5. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 10. ჩვილი ბავშვის საფენი; 11. გაზეთის, ჟურნალის თანამშრომელი; 12. პოეზიისა და მუსიკის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. რაიმე ორგანოს აგებულების, გადაგვარება, უკუგანვითარება; 16. კაზინოს თანამშრომელი; 17. სტადიონი ერევანში; 20. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად:** 6. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 7. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 8. ჰოლანდიელი ფილოსოფოსი; 9. ფულის ერთეული ერაყში; 13. ტბა გაგრის რაიონში; 14. ქალაქი კახეთში; 18. მდინარიდან წყლის სხვადასხვა მიმართულებით გადაყვანა არხების მეშვეობით; 19. ფრანგი მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი; 21. აზიის ყველაზე გრძელი მდინარე; 22. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 22. ქართველი სპორტული ტელეკომენტატორი მამაკაცი; 23. მთიდან მოვარდნილი დიდი ნიაღვარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ასტროპროგნოზი 22 დეკემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კურო** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** – თქვენი საქმე წინ მიდის, ფული გექნებათ. **ქალწული** – არ იჩქაროთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – გზიდან ფული მოდის, ახალი ამბავიც გაგახარებთ. **ღრიანკალი** – ახალი შემოთავაზება მშვენიერია, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** – თავს კრიტიკულად შეხედეთ, საქმეს უფრო წაადგება. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, გახარებული ხართ. **მერწყული** – ნურავის ენდობით, თქვენს თავს დაეყრდენით. **თევზები** – ყველა თქვენზე ზრუნავს და თქვენ ეს გახარებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი